


34(05)



ს. 13. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველი



რედაქციის და კანტორის
მისამართი:

ტფილისი, ტრიუმფალის
ძ. № 32

ტელ. № 10-51

საღიწმუნოების ფასი:

წლიურად — 10 მან.
6 თვით — 5 მ. 50 კ.
3 თვით — 3 მ.
1 ნომერი 50 კ.

№ 12

15 ივნისი 1928 წ.

№ 12

იუსტიციის მუშაკებს.

უსტიციის სახალხო კომისარის და რუსკუბლიკის პროკურორისა მიმართვა საგაზრო კროკურორებისა და მაზრის სახალხო მოსამართლეებისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო!

რევოლუციური კანონიერება სწორედ იმით განსხვავდება ბურჟუაზიული კანონიერებისაგან, რომ ცხოვრების გარეშე ხელოვნურად შექმნილი „მარადიული“ ნორმები და „ზეკლასიური“ სამართალი ახასიათებს მხოლოდ უკანასკნელს და ასეთი სამართალი ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამიდანვე დაასამარა. საბჭოთა სახელმწიფოს კანონიერება ვერასოდეს ვერ განმტკიცდება მარადიული და უცვლელი ნორმებით. ჩვენი აღმშენებლობის ცხოველი და შეუჩერებელი ტემპით ვითარება ყოველდღიურად ააშკარავებს ამა თუ იმ საჭიროებას და საბჭოთა ხელისუფლება თავისი სამეურნეო და კულტურული ამოცანების სწორი გატარების მიზნით დაუყოვნებლივ სკვლის ისეთ კანონს, რომელიც ხელს უშლის დიად სოციალისტურ აღმშენებლობას.

ძველად კანონები იქმნებოდა ცენტრში და კანონმდებელი თავის ნებას უკარნახებდა ათას კილომეტრებით დაშორებულ პერიფერიებს. საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთი მდგომარეობა ძირფესვიანად შესცვალა, მშრომელი ხალხი გახდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და რევოლუციური კანონიერებას ყველგან, ადგილობრივად მიუჩინა ფხიზელი და ერთგული დარაჯები.

თქვენ კარგათ იცით, ამხანაგებო, რა დიდი მოვალეობა აწევს ამ მხრივ იუსტიციის პასუხისმგებელ მუშაკებს მაზრაში. ესენი უპირველეს ყოვლისა ვალდებული არიან კარგად გაეცნონ მაზრას და საფუძვლიანად შეისწავლონ თავისი მაზრის სპეციფიური პირობები, მოიმკმედ კანონმდებლობასთან შეფარდებით. ამ გაცნობის პროცესში ხშირად წამოიჭრებიან ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭიროა მოხდეს გადაუდებლად ან რთა გაცვლავამოცვლა, საკითხების ღრმად და ყოველმხრივ გაშუქება და ამისდამიხედვით შეტანა სათანადო შესწორებისა, ცვლილებისა ან დამატებისა ზოგიერთ უფრო ჩამორჩენილ საკანონმდებლო აქტებში. ამ საკითხების აღძვრაში, მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებების წამოყენებაში კი იუსტიციის მუშაკებმა მაზრაში უნდა მიიღონ ყველაზე უფრო მხურვალე მონაწილეობა.

თუ ავიღებთ ჩვენ მშრომელთა მასების ჩაბმას რევოლუციურ კანონიერების განმტკიცების საქმეში. თქვენ კარგათ იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოთ საზოგადოებრივ ბრალმდებელს და ეს ინსტიტუტი ჩვენში თითქმის დაუშუშავებელია.

პარტიასა და ხელისუფლებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მოჯამაგირეების დახმარების საქმისათვის და ჩვენ გარდა ოფიციალური რევიზიით მიღებული ცნობებისა კარგათ არ გვაქვს გათვალისწინებული თუ რა დეფექტები მოჩანს ამ მიმართულებით მუშაობის დროს და რა სახის დაბრკოლებები ელოდება მას წინ.

საჭიროა აგრეთვე ფართო განხილვის საგნად გახდეს საკითხი წითელარმიელთა შეღავათების შესახებ, საკითხი იმის შესახებ თუ როგორი გზით შეიძლება როგორც თვით კანონის მტკიცე გატარება ცხოვრებაში ისე ამ შეღავათების კვლავ გააღიერება.

იურიდიული საკონსულტაციო კამერები—ეს ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც გვეხმარებიან მართლმსაჯულების განმტკიცებაში. მაგრამ პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ მას აუარებელი დეფექტები ახლავს თან, რის გამოც საჭიროა მისი საფუძვლიანი და მკვიდრ ნიადაგზე გარდაქმნა. საკონსულტაციო კამერები უნდა სარგებლობდნ მოსახლეობის თვალში ფართო ავტორიტეტით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი არსებობა ზედმეტად უნდა იქნეს მიჩნეული. მაზრაში მომუშავე ამხანაგებს დიდძალი მასალა აქვთ დაგროვილი ამ საკითხის გარშემო და ამიტომ დროა ეს საგანიც გახდეს ფართო მსჯელობის ობიექტად.

მასებთან დაახლოება და მათში რევოლუციური კანონიერების განმტკიცება—მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პროკურორი, მოსამართლე დაუკავშირდება აოგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს და საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობას. მე უკვე ერთ ადგილას აღნიშნული მქონდა, რომ ამ მიზნით სოფლის საბჭოებთან განზრახულია უფლებრივ-ადმინისტრაციული სექციების დაარსება. ეს საკითხიც ღრმა ყურადღების ღირსია და საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას.



როგორი სახით სწარმოებს პროკურორების მოხსენებები ადგილობრივად და მოსახლეობის უფრო რა ხასიათის ინტერესები იჩენს თავს ამ მოხსენების ირგვლივ, ეს საკითხები უნდა იქმნეს საკმარისად შესწავლილი და გაშუქებული პარტიულ და საბჭოთა ორანოების წინაშე.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენენ ადგილობრივ საგადასახადო კამპანიის ჩატარება, ლარიბ გლახობაზე კანონიერ შეღავათების სწორი გავრცელება და სხვა.

ჩვენი სოციალურ-ეკონომიურ განვითარების ნორმალურ წინსვლას ელოდება მამა-პაპათაგან დარჩენილი ყოფა-ცხოვრების აუარებელი მავნე ჩვეულებანი და ტრადიციები, რომელთა ნიადაგზე დღემდე წამოიშობიან აუარებელი ბოროტმოქმედებანი. მათთან ბრძოლის მიზნით ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსში უკვე შეტანილია სპეციალური თავი, მაგრამ ეს სრულებით არ კმარა. საჭიროა მათი სწორი და ურყევი გატარება ცხოვრებაში. ამ კომპარულ ტრადიციებს საჭიროა დაუპირდაპიროთ ბრძოლის კულტურული საშუალებანი, საჭიროა შევისწავლოთ ასეთი სახის დანაშაული, მათი წარმოშობის მიზეზები და გამოვინახოთ საუკეთესო გზები მათ აღმოსაფხვრელად.

როგორც ხედავთ უაღრესი მნიშვნელობის საკითხებია წამოჭრილი ჩვენს წინაშე და ამიტომ საჭიროა გადაუდებლად და დაუყოვნებლივ იუსტიციის პრაქტიკულ მუშაკთა შორის დაიწყოს ადგილობრივ პრაქტიკის დაკვირვების გამოძიება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საქ. ს.ს.რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორკვირეული ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ემსახურება სწორედ ამ საკითხების გაშუქებას; უკვე გამოვიდა ჟურნალის თორმეტი ნომერი და მაზრის პასუხისმგებელ მუშაკებს და განსაკუთრებით პროკურორებს ჯერ კიდევ არ გამოუჩენიათ სათანადო აქტივობა ამ მხრივ.

მოუწოდებ მაზრის მოსამართლეებს, პროკურორებს, რომ ჩვენი ჟურნალის საშუალებით გამოსთქვან თავისი აზრი — ჩვენს მიერ წამოჭრილ და საერთოდ იმ უაღრესად აქტუალურ საკითხების შესახებ, რომლებიც დგანან სასამართლოსა და პროკურატურის წინაშე.

იუსტიციის სახალხო კომისარი და ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“ პასუხისმგებელი რედაქტორი: **ი. ვარძიელი.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მიმართვა ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოებს, სამაზრო პროკურორებს და სახალხო გამომძიებლებს.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“ შესახებ.

ძვირფასო ამხანაგებო!

თუ რამდენად აუცილებელია ჩვენს დღევანდელ პირობებში იფრიდიული ჟურნალის არსებობა — ეს იუსტიციის ყველა მუშაკისათვის ცხადი და ნათელია. საკმარისია ვთქვათ, რომ საბჭოთა სამართლის პოპულიარიზაცია იქნა ცნობილი აუცილებლად ა. კ. კომ. პარტიის საოლქო კომი-

ტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემით ა. წ. პირველი იანვრიდან სისტემატიურად გამოდის ორკვირეული ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“. დღემდე გამოსულია ჟურნალის თორმეტი ნომერი. მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ ჟურნალი არსებობს სამეურნეო ხარჯებზე და თუ იუსტიციის ყველა მუშაკი არ შეეგება ალტაცებით და ხელი არ შეუწყობს საკუთარი ჟურნალის არსებობას — მაშინ ამ უკანასკნელს გაუჭირდება არსებობა. დღემდე შემწეულია ორი სამუშაო გარემოება: 1) იუსტიციის მუშაკების დიდ ნაწილს დღემდე არ გამოუწერიათ ჟურნალი, რაც მათ არ ეპატიებათ. 2) სამაზრო სასამართლოების დიდი ნაწილი, რომლებიც იღებენ რამდენიმე ათეულ ეგზემპლიარებს ჟურნალისას მეტად პასიურად ეპყრობიან ჟურნალის გავრცელებას და დავალიანების აკრეფის საკითხს. არიან ისეთი სამაზრო სასამართლოებიც, რომლებსაგან რედაქციას არ მიუღია დღემდე არც ერთი კაპეიკი — მიუხედავად რედაქციის მრავალი გაფრთხილებისა. ასეთი მოპყრობა ჩვენი ჟურნალისადმი მეტის მეტად სამწუხაროა.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ მოავაგონოს იუსტიციის მუშაკებს თავისი მოვალეობის შესახებ.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ ვინაიდან იუსტიციის სახალხო კომისარიატის და უზენაეს სასამართლოს ყველა ცირკულარები იბეჭდება ჩვენს ჟურნალში, ამიტომ ცალკე ცირკულარების მიწოდება საერთოდ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისათვის შეწყვეტილია. ამიტომ სახალხო სასამართლოებისათვის და გამომძიებლებისათვის საჭიროა გამოწერილ იქნეს ეს ჟურნალები, რომლებიც უნდა ინახებოდნენ სასამართლოებში და კამერებში. სახალხო სასამართლოებისა და საგამომძიებლო კამერებისათვის ამ ნომერთან ერთად იგზავნება ყველა გამოსული ნომრები. რაც შეეხება იმ სახალხო მოსამართლეებს, სასამომძიებლებს და პროკურორებს, რომელთაც დღემდე არ გამოუწერიათ ჟურნალი, მათ თავისთვის უნდა უსათუოდ გაიოიწერონ ჟურნალი.

სამაზრო სასამართლოებს მოვავაგონებთ, რომ ისინი ითვლებიან ჩვენი ჟურნალის წლიურ ხელისმომწერლებად და დღემდე ორ ვადაში ვალდებული იყვნენ დაეფარათ ჟურნალის მთელი წლიური საფასური. მთელი წლის დავალიანება უნდა იყოს დაფარული ამა წლის პირველ აგვისტომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალის გაგზავნა იქნება შეწყვეტილი და წარსული დავალიანების ასაკრეფად მიღებულნი იქნება სათანადო ზომები.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია დარწმუნებული არიან, რომ ამიერიდან იუსტიციის მუშაკები ადგილობრივად შეეცდებიან დაჩქარებით გაასწორონ დავალიანება და მომავალში ხელს შეუწყობენ ჟურნალის განმტკიცებას.

იუსტიციის სახალხო კომისარი და ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“ პასუხისმგებელი რედაქტორი:

ი. ვარძიელი.

სისხლის სამართლის პროცესის გამარტივება*)

I

სრულიად ბუნებრივია, რომ დისკუსიამ სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების შესახებ ფართო ხასიათი მიიღო.

უდავოა ერთი დებულება—პროცესის გამარტივების საჭიროება. იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოწვეულმა სპეციალურმა თათბირმა შეიმუშავა თეზისები—(მოთავსებულია „საბჭოთა სამართალი“-ს 9 ნომერში). ამ თეზისებში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც შეეხება სამსჯავრო გამოძიებას და რამდენადაც ამ სფეროში შეტანილ ცვლილებათა მიღება შეუძლებელია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ არ განვიღოთ მომენტი დისკუსიის საჭიროებისა.

ცნობილია, რომ სისხ. სამ. პროცესი არის შენაერთი იმ ნორმებისა, რომელიც აწესრიგებს სამოსამართლო და საგამომძიებლო ორგანოების უფლება-მოვალეობას და ამასთანავე ჰქმნის გარანტიას საქმეში მონაწილე დაზარალებული მხარის უფლებათა დაცვისათვის.

სისხლის სამართლის პროცესის დანიშნულება ორნაირია:

ერთის მხრით მან ხელი უნდა შეუწყოს საპროცესო ნორმების ფარგლებში მომკვლევ, საგამომძიებლო და სამოსამართლო ორგანოების მუშაობას ბოროტმოქმედის აღმოჩენის საქმეში.

მეორეს მხრით კი—მისცეს პასუხისგებაში მიცემულს საჭირო გარანტიები თავდაცვისათვის, რათა თავზე აცილებული იქნეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა. ბრალდებულის უფლებრივ ნორმებს, თავდაცვისათვის საჭირო გარანტიების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა შეაქციოს კანონმდებლობამ და ყოველ კერძო შემთხვევაში, როდესაც ხდება გადასინჯვა მოქმედი პროცესისა მისი განახლების ან სრულიად შეცვლის მიზნით, ამ ფაქტმა არ უნდა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც აუცილებელივ ბრალდებულის ინტერესს ან მის უფლებებს დაზიანებს და სრულიად ადვილად დაგვაახლოვებს იმ განვილ პერიოდთან პროცესის არსებობის ისტორიიდან, როდესაც ბრალდებულის უფლებებზე სიტყვაც კი მეტი იყო და თვით ფორმა მისი გასამართლებისა საშინელი და მიუღებელი ..

სისხლის სამ. პროცესს თავისი წარსული აქვს. იმ პერიოდში კაცობრიობის არსებობისა, როდესაც დანაშაულს და დანაშავეს უყურებდნენ, როგორც დაზარალებულის კერძო საქმეს ე. ი. როდესაც დანაშავის პასუხისმგებლობის საკითხი არ იყო მოწესრიგებული კანონით, როდესაც თვით კაცი თავისუფალი იყო თავის მოქმედებაში—ამ პერიოდში პროცესის არსებობა ულოლიკობა იქნებოდა და ამიტომაც იგი არც იყო.

შემდეგი პერიოდი ხასიათდება სახელმწიფოს ნაწილობრივი ჩარევით დანაშავესა და დაზარალებულს შორის შექმნილ ურთიერთობაში მისი მოწესრიგების მიზნით და ამ ნახევრად კერძო, ნახევრად სახელმწიფო სისტემას პროცესისას ჩვენ ვიცნობთ **საბრალმდებლო ფორმის სახელწოდებით**, რომელიც მოითხოვდა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის ურთიერთობის დაცვას.

ბულისაგან დანაშავის პასუხისგებაში მიცემას, დამტკიცებული საბუთის წარდგენას და შეჯიბრების გაწევას.

მესამე პერიოდი—ეს არის **ძიებითი პროცესის** ხანა, რომლითაც უარყოფილი იყო საჯარო გამოძიების პრინციპი და ყველა ფუნქცია, როგორც, მაგალითად, გამოძიება, ბრალდება, დაცვა, გასამართლება—თვით მოსამართლის უფლებებში იყო მოქცეული.

შემდეგი პერიოდი პროცესისა იყო **შეჯიბრებითი** და უკანასკნელი კი **შერეული** ანუ ძიებით—შეჯიბრებითი ფორმა, მიღებული საბჭოთა კავშირში.

ძიების სფერო გამოიხატება, როგორც მომკვლევ, ისე საგამომძიებლო აპარატის მუშაობაში, შეჯიბრების კი—სამსჯავრო ძიებაში ბრალმდებლისა და დამტკიცების მონაწილეობით, როგორც თანაბარ-უფლებიანი მხარეებისა.

ამნაირად პროცესმა განვლო ევოლიუციის დიდი სტადია, მოყოლებული იმ დროიდან, როდესაც ბრალდებულის ინტერესი სრულიად დაჩრდილული იყო, და დამთავრებული უკანასკნელი პერიოდათ, როდესაც პროცესის შერეული ფორმით სავსებით დაცულია პასუხისგებაში მიცემულის ინტერესი. მაგრამ პრაქტიკამ თავისი ჰქნა და დაიბადა საჭიროება მოქმედ პროცესში კორექტივების შეტანისა,

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეზისებში მოქცეული ზოგიერთი მუხლის მიღება ხელს შეუშლის სასამართლოს მატერიალური ჰუმანიტეტების აღმოჩენის რთულ საქმეში და ბრალდებულისათვის მინიჭებული გარანტიები ამკარად დაზიანდება.

მაგალითად, თეზისების მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ როგორც სახალხო, ისე სამაზრო სასამართლოს ენიჭება უფლება საქმის გადადების შემთხვევებში მოახდინოს დაკითხვა გამაწვეული და გამოცხადებული მოწვეებისა და შემდეგში კი ისინი კვლავ დასაკითხავად აღარ გამოიწვიოს.

ასეთს ცვლილებას მხოლოდ ერთი ან ორი სასურველი შედეგის მოცემა შეუძლია—დროისა და ხარჯების შემცირება, მაგრამ ამ პრინციპის ხელმძღვანელობა პროცესის გამარტივების საკითხში უსათუოდ შეცდომა იქნება.

მოწმეთა ჩვენება სასამართლოში—ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი საშუალებაა სიმართლის აღმოჩენისათვის და სხვა საფუძველთან ერთად მოწმის ჩვენების ნიადაგზე ხდება პასუხისგებაში მიცემულის სიკვდილ-სიცოცხლის, ღირსებისა და თავისუფლების საკითხის გადაჭრა.

მოკვლევით ან წინასწარი გამოძიებით მოპოებული მშრალი მასალა ვერაოდეს ვერ ამოსწურავს საქმის მთელ შინაარსს, ვიდრე არ მოხდება ობიექტური გადასინჯვა დაგროვილი მასალისა სამსჯავრო გამოძიების საშუალებით.

სასამართლოს წინაშე მდგომი მოწმის ფიგურა მრავალნაირად არის საინტერესო.

საინტერესოა, თუ რას ამბობს მოწმე და როგორ ამბობს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მოწმე სასამართლოში დაკითხვის დროს კათეგორიულად ადასტურებს რომელიმე ფაქტს, გარემოებას, შემთხვევას, მაგრამ იმავე დროს, მიუხედავად მისი ენერგიული და დაბეჯითებითი მტკიცებისა, მისი ჩვენება არაა სრულიად სანდო.

*) დისკუსიის წესით.

ცებისა, ის ვერ ჰქმნის სასურველ შთაბეჭდილებას, ვერ ამკვიდრებს მისდამი ნდობის ატმოსფერას, ვერ იზიდავს ფსიხოლოგიურად ვერც სასამართლოს, ვერც მხარეებს, ვერ იწვევს იმ „შინაგან რწმენას“, რომელიც არის საფუძველი განაჩენისა.

ასეთი მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებითი მასალა, უვარგისია და მისი უკუგდება აუცილებელი.

იმავე დროს კი საქმეში არის ჩვენებები როგორც მილიციისაში, ისე გამოძიებულთან მიცემული და როდესაც თქვენ აღარგებთ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას სხვა მის ჩვენებებს, თქვენ ხედავთ თითქმის სრულს იგივეობას, და ამის გამო აღნიშნული მოწმე ერთი საფუძველთაგანია საბრალდებლო დასკვნისა.

აქედან დასკვნა—ასეთი მოწმე მიიღო, როგორც მომკვლევმა, ისე გამოძიებულმაც, მაგრამ სრულიად ადვილად შეუძლია სასამართლოს იგი მოწმე არ მიიღოს, რადგანაც, როგორც ვსთქვით, ის ვერ ჰბადებს თავისი სიტყვებისადმი სასამართლოს ნდობას, ვერ იწვევს რწმენას...

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სასამართლოს მიერ უმეფეოდ მოწმის დაკითხვას, რადგანაც აქ მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას ამბობს მოწმე, არამედ—როგორ ამბობს, როგორია მისი ჩვენებით დამკვიდრებული ატმოსფერა.

ძველად, ფორმალურ მტკიცებათა თეორიის არსებობის ხანაში ასეთი მოწმის მიღება აუცილებელი იყო სასამართლოსათვის და სასამართლოს არ შეეძლო დაყენება ისეთი საკითხისა, თუ როგორია მოწმისაგან შექმნილი შთაბეჭდილება, არის თუ არა ის ღირსი ნდობისა, მაგრამ დღეს, როდესაც პროცესში ჯერ კიდევ არის 319 მუხლი, სასამართლო ვალდებულია ანგარიში გაუწიოს არა მარტო იმას, თუ რა სთქვა მოწმემ, არამედ იმასაც, თუ როგორ სთქვა.

სასამართლოში ჩვენ ხშირად ვხედავთ იმას, რასაც მომკვლევნი ან გამოძიებელი თავის კამერაში ვერ ხედავს.

ხშირად მოწმეს მოაქვს სასამართლოში პირადი ინტერესი, სიძულვილი ბრალდებულის მიმართ და ჩვენების მიცემის დროს ის განსაკუთრებული ენერგიით სკდილობს ბრალდების დამძიმებას, იმავე დროს ის იჩენს უკმეხობას დამკვლელის მიმართ, ირონიით და სიბრაზით უპასუხებს უკანასკნელს, რა გარემოებაც ხშირად იწვევს დამკვლელის შუამდგომლობას სასამართლოს წინაშე, რათა მოწმე იქნეს გაფრთხილებული... არის ხოლმე ისეთი მოწმეც, რომელიც სკდილობს ბრალდებულის დაცვას, ბრალდების გაბათილებას, ან შესუსტებას, რისთვისაც ის ჰქმნის ფაქტებს, ან აზვიადებს მათ.

როგორც პირველი, ისე მეორე კათეგორიის მოწმეები ვერაოდეს ვერ გახდებიან სასურველნი და სასარგებლო ქეშმარიტების აღმოჩენის საქმეში, რადგანაც ისინი ვერ არიან თავისუფალი პირადი ინტერესების გავლენისაგან.

ხომ ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მოწმე „ალიბისტებსაც“ არ სჯერა.

რატომ ხდება ეს?—ამაზე პასუხი ჩვენ უკვე მივეცით, როდესაც აღვნიშნეთ, რომ მოწმესა და სასამართლოს შორის ვერ შეიქმნა ნდობის ნიადაგი.

ჩვენ მიერ მოყვანილი მოსაზრებანი ამჟამად ასათუბებენ იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის დაკითხვას სასამართლოს მიერ გამოძიების დროს.

თუჩისების მეოთხე მუხლი კი ჰქმნის შემდეგს მდგომარეობას: სასამართლოს ერთმა შედგენილობამ ჩვენება ჩამოართვა მოწმეთა მთელ რიგს, რომლებიც გამოცხადდნენ, მათი ჩვენება იქნა შეტანილი ოქმში, რის შემდეგ საქმე მოსმენით გადაიდო სხვა დროისათვის, რადგანაც ყველა საჭირო მოწმე არ გამოცხადებულა. იგივე საქმე ინიშნება რამოდენიმე ხანს შემდეგ, მას არჩევს უკვე სასამართლოს ახალი შედგენილობა ე. ი. ახალი თავმჯდომარე, ახალი მსაჯულები, შესაძლებელია პროკურორიც და დამკვლელიც, სასამართლო დაჰკითხავს ნხოლოდ გამოცხადებულ მოწმეებს, რომლებიც პირველ სხდომაზე არ იყვნენ.

შესაძლებელია თუ არა ამ პირობებში სასამართლო მიიღოს საქმეზე სწორი წარმოდგენა და შთაბეჭდილება? რასაკვირველია არა.

მთელი რიგი მოწმეებისა, დაკითხული პირველი შედგენილობის მიერ, უცნობია მეორე შედგენილობისათვის, მათი ჩვენებების აღდგენა დაახლოვებით შესაძლებელია ოქმის საშუალებით, ოქმი კი მხოლოდ მოწმის „სიტყვას“ იძლევა. მაგრამ როგორ იყო თქმული ეს „სიტყვა“, როგორ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ის დაკითხვის დროს, იწვევდა თუ არა სასამართლოს ნდობას—ამის გაგებას ახალი შედგენილობა ვერ შესძლებს და მის განკარგულებაში დარჩება მხოლოდ მშრალი მასალა, როგორც შედეგი პირველი შედგენილობის სასამართლოს მუშაობისა.

შესაძლებელია გვიპასუხონ, რომ საქმის გადადგმის შემდეგ ახალ შედგენილობაში იგივე თავმჯდომარე იქნება, რომელიც გააცნობს მსაჯულებს პირველი სხდომის ისტორიას, ეტყვის მათ სათათბირო ოთახში, თუ რომელმა მოწმემ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა და სხვა, მაგრამ ეს იქნება სრული გაბათილება შინაგანი რწმენის და რევოლიუციური სინილისისა.

ერთი რომ თავმჯდომარის მენსიერება ვერაოდეს ვერ შესძლებს ატაროს თან თვითიული მოწმის სახე და მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდალება და მეორეც ის, რომ ასეთი წესით და უფლებით თავმჯდომარემ მსაჯულების სინილისს უნდა მოახვიოს ისეთი რამ, რისი მოწმე აუცილებლივ თვითონ მსაჯული უნდა იყოს.

შესაძლებელია ერთმა და იმავე მოწმემ სასამართლოს თავმჯდომარეზე ერთი შთაბეჭდილება მოახდინოს და მსაჯულებზე კი სულ სხვა, რაც გამოიწვევს სათათბირო ოთახში დავას,—ასე რომ ასეთი ატმოსფერის შექმნა ვერაოდეს სასურველ ნაყოფს ვერ მოგვცემს.

ჩვენი აზრით აუცილებელია სასამართლოს მთელ შედგენილობას ჰქონდეს საქმეზე ერთი გარკვეული და სრული წარმოდგენა, შთაბეჭდილება, რომლის გავლენის ქვეშ ის უნდა შევიდეს სათათბირო ოთახში. და ასეთი წარმოდგენის მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოს ერთი შედგენილობა მოისმენს მთელ საქმეს ყველა მოწმეებით და დამამტკიცებელი საბუთებით.

თუჩისების მეოთხე მუხლის დაკანონებით საფუძველი გამოეცლება 319 მუხლს მომკვლელი პროცესისას, რადგანაც სასამართლო ვერ შესძლებს განაჩენის გამოტანას

მინაგანი რწმენის ნიადაგზე, რადგანაც სასამართლოს ძიების პროცესში არ იქნება მის წინაშე ცოცხალი ადამიანი, რომელიც ამ შინაგანი რწმენის ერთი მთავარი ფაქტორთაგანია.

მის. ღვაშიჩავა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამარტივებისათვის*).

(იუსტისკომთან მოწვეული თათბირის დადგენილებების გამო).

ა/წ. აპრილში, იუსტისკომში სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების შესახებ მოწვეული თათბირი ფრიად საყურადღებო მოვლენაა და მისი დადგენილებანი საგულისხმო შრომაა. მხოლოდ ვფიქრობთ, რომ შიგა და შიგ არის ადგილები, რომლის შეუსწორებლად დატოვება ჩვენს მართლმსაჯულებას მომავალში უთუოდ ავნებს:

1) დადგენილების პროექტში ნაჩვენებია ს. ს. კოდექსის მუხლების უმრავლესობა შეიცავს კვლევა-ძიებისათვის საკმაოდ რთულსა და სასჯელის კვალიფიკაციითაც საგრძნობ სოც-დაცვის ღონისძიებას, ამიტომ ერთი პიროვნებისათვის ასეთი სერიოზული ნორმების შეფარდებისა და გადაწყვეტის მინდობა, ვფიქრობთ, საგრძნობლად შეარყევს იმ შეჯობების ანუ შეკამათების პრინციპს, რომელიც მთელი თანამედროვე კულტურულ კაცობრიობის დიდ პროგრესიულ მიღწევად ითვლება და პროცესშიც ჭეშმარიტების ძიების ერთადერთს ნაცადს საშუალებას წარმოადგენს.

2) 2 მუხლის „გ“ წერტილში დამცველთა მონაწილეობის შესახებ ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი არ ღებულობს მონაწილეობას პროცესში, სასამართლოს შეუძლია დაუშვას ბრალდებულის შუამდგომლობით დამცველი ბრალდებულთან შეთანხმებით.“ ეს ალტერნატიული ნორმა მოსამართლეს მისცემს ფართო გასაქანს თვითნებობისათვის და ბრალდებულ მოკლებულ იქნება დაცვას. ამასთანავე ზოგიერთ მოსამართლეთა სისუსტე კანონების ან საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ცოდნის მხრივ, განსაკუთრებით პროვინციაში, დამცველის დაუხმარებლად გააძნელებს ჭეშმარიტების გამოკვლევას. „შინ თუ არავინ გყავდეს, კედელ-ყურეს შეეკითხო“; ამბობს ხალხური ანდაზა. ამიტომ ეს „გ“ წერტილი საქმის სარგებლობისათვის უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: სასამართლო ბრალდებულის შუამდგომლობით ვალდებულია დაუშვას დამცველი და სხვ...

3) 5 მუხლის 6 სტრიქონში ნათქვამია: „თუ ბრალდებული მოითხოვს საქმის გადადებას ახალი დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენისათვის, მოსამართლე ან მოისმენს, ან გადასდებს და სხვ...“ მაგრამ თუ ბრალდებულმა გამოუცდელია ან უცოდინარობით ვერ მოითხოვა საქმის გადადება? განა ეს ვალდებულებს ჭეშმარიტების გამოკვლევას?

ამ მუხლის ასეთი რედაქციით ჩვენ მომავალში სასამართლოს ხშირს შეცდომებს ვერ ავსცდებით. ამ მუხლის ძველი რედაქცია, უფრო მიზანშეწონილიცაა და მისაღე-

ბიც. ის ამბობს, რომ ახალი გარემოების აღმოჩენისას სასამართლო აუცილებლად გადასდებს საქმეს და მიიღებს ზომებს უფრო სრული კვლევა-ძიებისათვის.

4) 6 მუხლში ნათქვამია, რომ „წვირლ საქმეებზე სასამართლოს განაჩენი იქნეს საბოლოო-ო“, მაგრამ ამ წვირლ (!) საქმეებს პროექტი ხომ ერთ პიროვნებას ანდობს? და რომ ერთპიროვნულად გამოტანილ განაჩენს საბოლოო ხასიათი მივსცეთ და კასაციის საშუალება მოვსპოთ, ეს უთუოდ ფრიად სამწუხარო დასკვნამდე მივყავან და მოსამართლესა და ერთპიროვნულ ადმინისტრატორს შუა განსხვავება აღარ იქნება, ჩვენი მოქალაქე ჯერ არც ისე მდიდარია და სოციალურად არც ისე აღზრდილი, რომ 6-12 თვის და თუნდა ერთი თვის სასჯელიც ან 100 მანეთი ჯარიმა წვირლმანად ჩასთვალოს. ამასთანავე ზოგი მოქალაქისათვის საზოგადოებრივ განკიცხვას ერთი წლის სასჯელზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. და რომ ეს ერთპიროვნულად დადგენილი განაჩენის შედეგი უკასაციოდ მას თავზე მოვახვიოთ, ჩვენი მართლმსაჯულების პრესტიჟი მეტს დაჰკარგავს, ვიდრე შეიძენს... ამიტომ საჭიროა ის საქმეები, რაზედაც განაჩენი საბოლოო იქნება, ერთპიროვნულად არ იქნეს დადგენილი ან ის, რაც ერთპიროვნულად არის დადგენილი საკასაციო წესით განისაჩივრებოდეს.

5) 7 მუხლში მოხსენებულია, რომ სახალხო სასამართლოს განაჩენის დასაბუთება არ წარმოადგენს საჭიროებას. ამას ჩვენც დავეთანხმებოდით მხოლოდ იმ საქმეების მიმართ, რომელთა განსაჩივრება საკასაციო წესით შეიძლება, მაგრამ ისეთი დაუსაბუთებელი განაჩენები, რომელთა მიმართ საკასაციო წესი განსაჩივრებისა არ იმოქმედებს. გაუგებრობას და უკმაყოფილებას გამოიწვევს.

6) 9 მუხლის მეორე ნაწილში მოხსენებულია, რომ „განაჩენს ხელს უნდა აწერდეს მხოლოდ თავმჯდომარე“-ო. ესეც საკმაოდ ზღუდავს სახალხო მსაჯულთა უფლება-მოვალეობას. მათი ნააზრვისა და ნათქვამის აღარავითარი კვალი აღარ დარჩება საქმეში. ეს მათში დიდს გულცივობას გამოიწვევს, რაკი თავს ცოცხალ „მანეკენად“ იგრძნობენ. ისინი კამათში მონაწილეობას ღებულობენ, ეს კოლექტიური აზრია და სული და გული განაჩენისა და მაშასადამე მათ აზრსა და ნამოქმედარს მათი პასუხისმგებლობის კვალიც უნდა აჩნდეს.

7) საკასაციო წარმოების განყოფილების 3 მუხლში ნათქვამია, რომ „საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის დროს, საკასაციო ინსტანციას შეუძლია წინასწარი პატიმრობა არ ჩაუთვალოს“-ო. მაგრამ, ეს ხომ იგივე სასჯელის გადიდებაა! და თუ წინა მუხლით მხოლოდ პროკურატურის პროტესტით ემატება სასჯელი, ახლა თვით ბრალდებულის თხოვნამ რათ უნდა მოუმატოს მას სასჯელი? ვფიქრობთ, რომ ეს 3 მუხლი წინა (2) მუხლს ლოგიკურად ეწინააღმდეგება.

დასასრულ ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ახალი და ნორჩი შემოქმედებაა; ეს დიდი რევოლუციის შედეგია და საბჭოთა რეჟიმის უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებაა, მას მეტი პოპულარობა და ელასტიურობა ესაჭიროება.

ისიც ჭეშმარიტებაა, რომ დღეს რესპუბლიკა პოლიტიკონომიურად უფრო მტკიცე საფუძველზე სდგას, ვიდრე წარსულ წლებში იმყოფებოდა... ამიტომ, რაც დრო გა-

*) დისკუსიის წესით.

დის და ვმაგრდებით, ჩვენს მშრომელ ხალხს უფრო უახლოვდება მართლმსაჯულება და სასამართლოს აპარატი. ამის გამო პროცესის გამარტივებამ არ უნდა მიგვიყვანოს მის გაპრობირებამდე.

კაპიტონ ბაქრაძე.

უზენაეს სასამართლოს პრაქტიკიდან

(სადავო საკითხები).

ჩვენი ჟურნალის დანიშნულებას უნდა შეადგენდეს, სხვათაშორის ისიც, რომ გაშუქებულ იქნეს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ასეთი გაშუქება თუ კრიტიკა ხელს შეუწყობს ჩვენს ახალგაზრდა სასამართლოს უმაღლეს ორგანოს უფრო პრინციპიალური, უფრო სწორი ხაზი გაატაროს თავის ხელმძღვანელ მოღვაწეობაში. ამ მიზნით ჩვენ გვსურს განვიხილოთ, დრო გამოვებით, უზენ. სასამართლოს ისეთი განმარტებები, რომელიც, ჩვენის აზრით, მეტად სადავოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

I.

1922 წ. მაისის 25-ს ლიბარტ პანოიანმა და მისმა ამხანაგებმა მისცეს პაპაზიანს ასეთი შინაური ხელწერილი: ჩვენ შევიძინეთ ჩვენს სახელზე სახლი, რომლის საფასური 1/5 თქვენ გქონდათ შემოტანილი; ამით ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას დაგიმტკიცოთ, როცა მოგვთხოვთ, სახლის 1/5-დ; უკეთუ სახლზე აღმოჩნდა რაიმე ვალები, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ამ ვალის 1/5.

შემდეგში, 1924 წელს, ამ ორ მხარეს შორის ატყდა სასამართლოში დავა: პაპაზიანმა მოითხოვა, რომ სახლის 1/5, ზევით აღნიშნული შინაური ხელწერილის ძალით, ყოფილიყო ცნობილი მის საკუთრებად, ხოლო მეორე მხარე წინ აღუდგა ამას იმ საფუძვლით, რომ სახლზე აღმოჩნდა 5000 მანეთამდე ბანკის ვალი, რომლის გადახდაში პაპაზიანმა მონაწილეობა არ მიიღო (სახლი იყო ნაყიდი სულ 2000 მანეთად).

ბოლოს და ბოლოს საქმე მივიდა უზენაესი სასამართლოს პლენუმამდე, რომელმაც 1928 წლის მარტის 17-ს გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც განმარტა: პანოიანის და მისი ამხანაგების ხელწერილი უნდა ჩაითვალოს წინასწარ ნასყიდობის ხელშეკრულებად; თუმცა ეს ხელწერილი არ არის შესრულებული სანოტარო ფორმით, მაგრამ, ვინაიდან პაპაზიანს გადაუცია მეორე მხარისათვის სახლის 1/5 ღირებულების საფასური სახლის ყიდვის მომენტშივე და სახლის ნასყიდობის სიგელში პაპაზიანცი შემთხვევით არ ყოფილა შეტანილი, სანოტარო ფორმაზედ მითითება უბრალო ფორმალისში იქნებოდაო. ამიტომ პლენუმმა წინადადება მისცა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს იხელმძღვანელოს სამოქ. სამ. კოდ. 182² მუხლით, ე. ი. სცნოს პაპაზიანცის საკუთრება სახლის 1/5-ზე, ისე, როგორც ეს დაშვებულია მაშინ როცა წინასწარი ნასყიდობა შესრულებულია სანოტარო წესით.

არის თუ არა სწორი პლენუმის განმარტება?

1. სამოქ. სამ. კოდ. 182¹ მუხლის თანახმად წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულება არის ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალით მომავალში უნდა დაიდვას შენობის ნასყიდობის გარიგება (სიგელი). არა უგვიანეს 6

თვისა წინასწარი ნასყიდობის ხელწერილის დაწერიდან უნდა იქნეს შესრულებული ნასყიდობის სიგელი ან ერთმა მხარემ მეორე მხარის წინააღმდეგ უნდა აღძრას სარჩელი ნასყიდობის სიგელის შესრულების შესახებ, — წინააღმდეგ შემთხვევაში წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულების მოქმედება მოიხსობა.

ამ შემთხვევაში წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულება დაიწერა 1922 წლის მაისის 25-ს, პაპაზიანცმა სარჩელი აღძრა 1924 წელში, ხოლო 6 წლის შემდეგ უზენაესი სასამართლო ღებულობს ზომას, რომ სახლი დაუმტკიცდეს პაპაზიანს.

2. იმავე სამოქ. სამ. კოდ. 185 მუხლის ძალით, შენობის ნასყიდობა, ბათილობის რიგით, უნდა იქნეს დამოწმებული სანოტარო წესით და შემდეგ აუცილებლად გატარებული სანოტარო განყოფილების რეგისტრაციაში და სათანადო კომუნალურ განყოფილებაში.

ასეთივე სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული და რეგისტრაციაში გატარებული წინასწარი ნასყიდობაც (სამ. სამ. კოდ. მუხ. 182¹, 182², „კომ.“ 1927 წ. 10 სექტემბრს). ამის დასამატებლად 1927 წელს გამოიცა კანონი, რომლის თანახმად, უკეთუ წინასწარი ნასყიდობა არ არის დამოწმებული სანოტარო წესით, იგი ბათილია, ე. ი. ძალას მოკლებული („მოამბე“ 1927 წ. № 9—10).

არის თუა არა კანონის ასეთი მოთხოვნა „უბრალო ფორმალისში“?

არა. იმიტომ რომ ამას სარჩულად უდევს სახელმწიფო ინტერესის დაცვა. როგორც ვიცით, შენობის ნასყიდობასთან დაკავშირებულია:

- ა) სახელმწიფოს სასარგებლოდ ბაჟის შეტანა (სახლის ღირებულების (1%)),
- ბ) ადგილობრივი აღმასკომის სასარგებლოდ გაოსაღების გადახდა (1%)),
- გ) აქტის ტექნიკური შედგენისათვის ხაზინის სასარგებლოდ განსაზღვრული თანხის შეტანა (1/2%)).

გარდა ამისა, ნასყიდობის აქტის გატარება სათანადო კომუნალურ განყოფილებაში წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ვინაიდან სახლის ფლობელობასთან დაკავშირებულია მრავალი საჯარო ბეგარა: საშემფასებლო გადასახადი, მიწის რენტა და სხვა.

ყველა ამ გადასახადის და ბეგარის მოთხოვნა შეუძლებელია, თუ ნასყიდობა სანოტარო კანტორაში არ იქნა წარდგენილი დასამოწმებლად და შემდეგ კომუნალურ განყოფილებაში გატარებული. უამისოდ სახელმწიფო ინტერესი უსათუოდ დაზიანდება. აქედან დასკვნა: კანონის მოთხოვნა, რომ ნასყიდობის თუ წინასწარ ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებულ იქნეს სანოტარო წესით, უბრალო ფორმალისში კი არ არის, არამედ კატეგორიულნი იმპერატივი, რომლის დაცვა აუცილებელია სწორედ სახელმწიფოს ფისკალური ინტერესისათვის.

ასეც არ იყოს, უზენაეს სასამართლოს არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვს კანონი გააუქმოს. კანონი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამბობს, რომ ნასყიდობა თუ წინასწარი ნასყიდობა, უკეთუ იგი დამოწმებული არ არის სანოტარო წესით, ბათილია, ე. ი. ძალას მოკლებული: იგი ვერ წარმოშობს შენობის მყიდველისათვის საკუთრებას. უზენაესმა სასამართლომ კი განმარტა, რომ სანოტარო წესი-ეს უბრალო ფორმალისშია და უამისოდაც სასამართლოს

შეუძლია, თუნდაც ნასყიდობა, გინდ წინასწარი ნასყიდობა შესრულებული იყოს შინაურულად, მიუსაჯოს შენობის მყიდველს საკუთრება. ვინაიდან უზენაეს სასამართლოს პლენუმის განმარტება **სავალდებულოა** ყველა სასამართლოსათვის, ისე, როგორც სახელმწიფოს სხვა ორგანოებისათვისაც (იხ. სასამ. წყობილების დებულების 104 მუხლის 1928 წლის რედაქცია), ამიტომ ამიერიდან სასამართლოები იძულებული იქნებიან იხელმძღვანელონ ამ განმარტებით და არა კანონით. ეს ფაქტურად უღრის კანონის გაუქმებას.

საქმე ის კი არ არის, რომ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში—პაპაზიანცის საქმეში—სახელმწიფო იზარალებს თუ არ იზარალებს, საქმე ის არის, რომ ამიერიდან არავინ არ შეასრულებს ნასყიდობის ხელშეკრულებას სანოტარო წესით იმ რწმენით, რომ სულ ერთია, თუ სასამართლომდე მივიდა საქმე, შინაურ ქალაქსაც ძალას მისცემნო. აი აქ არის ხიფათი.

მართალია, რუსეთის სფსრ უზენაესმა სასამართლომაც გამოიტანა ანალოგიური განმარტება, მაგრამ ჩვენთვის სრულიადაც არ არის სავალდებულო სხვისი შეცდომა გავიმეოროთ.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განმარტება გადასინჯულ უნდა იქნეს, ვინაიდან მას უაღრესად პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს.

ს. ჯაფარიძე.

სამოსახლოების საკითხი მიწათ-მოწყობის დროს.

საქართველოს მიწის კოდექსში სამოსახლოების საკითხს მიქცეული აქვს საკმაოდ დიდი ყურადღება. კოდექსის პირველი ნაწილის მთელი მეექვსე კარი და მესამე ნაწილის მეორე კარის მეორე თავი მთლიანად სამოსახლოების საკითხს აქვს დათმობილი. სრულიად ბუნებრივია ასეთი ყურადღება სამოსახლოების საკითხისადმი, მაგრამ საინტერესოა რამდენად მიზანშეწონილადია მიწის კოდექსში ეს საკითხი გადაჭრილი? ამ კითხვაზე პასუხის მისაცემად საჭიროა მოკლედ მაინც წარმოვიდგინოთ ჩვენი სოფლის სამოსახლოების დღევანდელი მდგომარეობა.

საქართველოში ორი, მკაფიოდ ერთი მეორესაგან განსხვავებული, ტიპი გვაქვს სამოსახლო ადგილებისა. ერთია, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, აზიური და მეორე ქართული. როცა გზათ მიმავალი წააწყდება რაღაც უშნო და უსისტემოდ თითქოს მიყრილ-მოყრილ, ვერ გავიკვევია, მაწურ ქოხებს თუ ქოხის ასაშენებელ მასალას, როცა მიუახლოვდები ამ ხროვას და ვერ ხედავ გზას, რომ გაიარო ამ მიწურებს შორის, ვერ ხედავ ხეს, რომ მზისაგან თავი ჩრდ ლს შეაფარო და როცა შენს კითხვაზე, თუ სადა ხარ, მიიღებ პასუხს: ამა და ამ სოფელშიო, აი ასეთ ტიპს სოფლისას ჩვენ ვუწოდებთ აზიურს. ქართული ტიპი-კი სულ სხვა სახისაა: მიდინარ ტყიანი გზით, მიადგები ჭისკრებს, ეზოში მწვანეა, მწვანეზე ორი სახლია: თეთრი და შავი (ოდა და „კუხნა“-სახლი). ამ ერთი ეზოს მეტს ახლო მახლო ვერაფერს დანინახავ, მეზობელი არსად ჩანს, ხანძარი რომ გაჩნდეს მშველელი გვიან გაიგებს, ეს ერთ-ერთი მოსახლეა იმ სოფლისა, რომელსაც ჩვენ ქართული ტიპის სოფელს ვუწოდებთ. აქ მოსახლე დაშო-

რებულია მეზობლებზე ხშირათ კილომეტრის მანძილზე ან მთელი სოფელი პატარ-პატარა ერთი მეორესაგან დაშორებული უბნებისაგან შესდგება, უბანში კი 3-4 მოსახლეა. ცხადია ვერც პირველი და ვერც მეორე ტიპი სოფლებისა ვერ გამოდგებიან იმ კულტურის ნადავად, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრების განვითარებისა და წინსვლისათვის. აზიური ტიპის სოფლებში ჰიგიენის საკითხი იმდენად დაბლა დგას, რომ გიკვირს, როგორ მრავლდება ხალხი ასეთ პირობებში; თუ ასეთი ტიპის სოფლები სისტემატიურად არ იწვის, როგორც ერთ დროს რუსეთის სოფლებზე იტყოდნენ, 10 თუ 15 წლის განმავლობაში მთელი რუსეთის სოფლები ერთი მეორეზე მიყოლებით იწვისო-, თუ ეს ჩვენში არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ხანძარს მიწურები უშლიან ხელს.-

საქართველოში სამოსახლო მიწების ფართობი უღრის სულ 72.400 გექტარს, ასე რომ საშუალოდ კომლზე მოდის 0.17 გექტარი. ეს საშუალო ციფრი, რომ სინამდვილე იყოს, სამოსახლოების მდგომარეობა სიდიდის მხრივ არც ისე ცუდი იქნებოდა. 0,17 გექტარი ეს 390 კვ. საყენია და ასეთი ფართობის სამოსახლო მიწა თითქმის საკმაოა. მაგრამ თუ საკითხს დაეხედავთ მაზრობლივ, რაიონებით, სოფლებით და ბოლოს სოფლის მოსახლეობის ფენებად დაყოფის მართ, სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან გარდა აჭარისტანისა და რაჭისა, სამოსახლო მიწის საშუალო ნორმა უღრის 530 კვ. საყენს, აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ციფრები გვაქვს: სიღნაღის მაზრაში სამოსახლო მიწის საშუალო სადიდე შეადგენს 412 კვ. საყ. თელავში-344 კვ. საყ, ბორჩალოში-275 კვ. საყ.; თბილისის, დუშეთის და ახალქალაქის მაზრებში-230 კვ. საყ, ახალციხისა და გორის მაზრებში-183 კვ. საყ და სამხრეთ ოსეთში-კი 91 კვ. საყენს. აქვე უნდა ითქვას, რომ სამოსახლოების ფართობში ჩათვლილია საკალოე ადგილებიც, ასე რომ ის რაც საჭიროა ცოტათ თუ ბევრად ნორმალური მეურნეობისათვის, ე. ი. ეზო, თუ გამოვაკლებთ შენობებით დაჭერილ მიწას, რჩება უმეტეს ადგილებში მეტის მეტათ მცირე ფართობის, სადაც ურმის მობრუნებაც კი სჭირს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, უღარიბესი მოსახლეობის ეზოები იქაც ძალიან ვიწროა, რადგან ეს ნაწილი მოსახლეობისა მიწის სიცოტავის გამო სახნავსათესათ აქცევს მთელს სამოსახლოს; ასე რომ მისი სამოსახლო ყანაში ჩადგმულ სახლს წარმოადგენს და დაბლობ ადგილებში მალარიის ბუდეთაა გადაქცეული. სამოსახლოების ერთი მეორესაგან დიდი მანძილით დაშორება სხვა უზერხულობათა შორის იწვევს აუარებელ ზედმეტ ხარჯებს და უნაყოფო შრომას. რათ ღირს თუნდაც მარტო ის, რომ თვითველ ასეთ სამოსახლოს ცალკე გზის გაკეთება ესაჭიროება მთავარი საზოგადო გზიდან თავის ეზო გარემოში მისასვლელად.-

ჩვენი სოფლის სამოსახლოების უარყოფითი მხარე მარტო მათი სივიწროვით არ ხასიათდება. მთავარი აქ არის თვით სამოსახლო მიწების უვარგისობა, როგორც საცხოვრებელი ადგილის: უწყლობა, ჭაობიანობა, ძლიერ დაქანებული ფერდობები, ქარისაგან თავის დაუცველობა და სხვა ამგვარი თან სდევს 60% ჩვენი სამოსახლო ად-

ვილებსას. ასეთ პირობებში სამოსახლოები ინგრევა მე-წყარების, თოვლის ზეგებისა და ნიაღვრებისაგან. არ შეიძლება ყველაფერი ეს ჩვენ დავაბრალოთ ბუნებრივ პირობებს, მთავორიანობას, ჰავას, ნიადაგის შემადგენლობას და სხვ. მთავარი მიზეზი ჩვენი სამოსახლოების ყველა ამ ნაკლისა არის ის, რომ რომ სოფლები შენდებოდა და დღესაც შენდება უგემოთ, ადგილების პირობების წინასწარ შეუსწავლელად, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მიზეზი აქ უნდა ვეძიოთ ჩვენს უკულტურობაში. მიწების მდებარეობის ბუნებრივი პირობები არც ევროპაშია ჩვენსაზე უკეთესი, მთავორიანობა იქაც საკმაოთაა და ჭაობები იქაც ბევრი იყო, მაგრამ ისეთ უხერხულად და უფარვისათ მოწყობილ სოფლებს, როგორც ჩვენშია, იქ თითქმის ვერ იპოვით.

მიწის წყობას ჩვენში, როგორც ვიცით, მეტათ უვარგისი და სოფლის მეურნეობისათვის საზარალო სახე აქვს: სამოსახლოების უვარგისი წყობა, კულტურულად დამუშავებულ, სახნავ-სათეს მიწების და სათიბების მრავალ და ნაკვეთებთ წვრილ დანაკუწება, შორ-მიწიანობა, გრძელმიწიანობა, საძოვრების უხერხული ფორმები, მიწების ყოველ წლივ გადაყოფა (თემური სარგებლობის ზოგ რაიონებში), ყველა ეს და ბევრი სხვა ამგვარი ერთი მეორეზე უარესათ ავიწროებს სოფლის მეურნეობას, აფერხებს მის წინსვლას და გაუშჯობებს მის მიწათმოქმედების პროცესში ცოტათ თუ ბევრად ვასუსტებთ მიწის სარგებლობის ამ ნაკლს, მაგრამ ყველაზე ძნელი დასაძლევი მათ შორის არის სამოსახლო ადგილების უვარგისობის გამო-სწორება. ამ გამოსწორებას ხელს უშლის ბევრი მიზეზი, მაგრამ მათ შორის სამოსახლოდ ვარგებელი მიწის ნაკლებობას და შენობების გადატანის სიძნელეს პირველი ადგილი უჭირავს. თუ სოფელი პტარაა, მაგრამ უხერხულად დასახლებულია, ის უნდა გაიშალოს მის გარშემო მდებარე მიწებზე მაგრამ ეს მიწები იმავე სოფლის უფრო შეძლებულ ფენებს უჭირავს „ნაფუძრების“ სახელწოდებით, თუმცა იქ შესაძლოა თავის დღეში არაღის „ფუძე“ არ ყოფილიყოს კანონით (მიწ. კოდ. მუხ. 19). ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მის ნაკვეთებში აირჩიოს მიწათმოქმედის ან ზედმეტი მიწების ჩამორთმევის დროს ის ნაკვეთი, რომელიც მას სურს რასაკვირველია, ყველა აირჩევს „ნაფუძრებს“, რადგან ნაფუძრები სხვა მიწებზე უფრო ნოყიერია და ზედ სოფელზეა მიკრული, ასეთ პირობებში სოფლის გაფართოება შეუძლებელი ხდება. თუ უვარგისათ დასახლებული სოფელი დიდია (200 და მეტი კომლიანი), ასეთი სოფლის გაშლა გარშემო მდებარე მიწებზე უაზრობაა, რადგან დიდი სოფლები, რომელთაც თან აუცილებლად სდევს შორ-მიწიანობა, არ წარმოადგენენ სასურველ სახეს სოფლების მოწყობისას. ასეთი სოფლები უნდა დანაწილდეს ნორმალურ ზომის სოფლებად და მოეწყოს ცალ-ცალკე. მაგრამ ადგილი არ არის ჯერ ერთი შესაფერი მიწების გამოწახვა (წყალი, ქარი, ნიადაგი და სხვ.) და შემდეგ მოსახლის აყრა და ახლად დასახლებვაც მეტათ სამძიმოა ჩვენი საერთოდ ღარიბი სოფლისათვის. აი რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ

მიუხედავად სამი წლის მუშაობისა კომლექტურ (შიდა სასოფლო) მიწათმოქმედებაზე, ჩვენ დღემდე გადავიყვანეთ გეგმაზე მთლიანად მხოლოდ 12 სოფელი (351 კომ.) და ნაწილობრივ-20 სოფელი (1292 კომ ე. ი. 9/12% ყველა დღემდე მიწათმოქმედებულ სოფლებსა.-

ჩვენი მიწის კოდექსი სამოსახლოების საკითხს სჭრის საერთოდ დამაკმაყოფილებლად, თუმცა აქვს დეფექტები; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სინამდვილეში მიწის კოდექსის დებულებანი ძნელი განსახორციელებელი ხდება შევეხოთ საკითხს მუხლობრივ.

კოდექსის 82 მუხლით „საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟენისა ერთნაჭრად. ეს სამოსახლო ადგილი საერთოდ მიწის ნორმებში არ ჩათვლება“. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი მიწის სიციწროვის პირობებში სამოსახლოს ასეთი ნორმა ძლიერ დიდია. მაგრამ აქ მისაღებია მხედველობაში ის, რომ იმ იშვიათი სოფლის მეურნეთა კომლნი, რომლებთაც აქვთ ამ ზომის სამოსახლოები შესდგებიან უმეტეს ნაწილად რამდენიმე ოჯახისაგან, რომლებიც დღეს თუ ხეალ გაიყრებიან და ამ სამოსახლოს გაყოფენ ორად, სამ ან მეტად; ასე რომ კანონი ამ შემთხვევაში ერთგვარ თადარიგს იჭერს მომავლისათვის. თუ ვილაპარაკებთ არამიწისმუშა მეურნეობებზე რომელთაც აგრეთვე ეტოვება სამოსახლო ამავე ზომისა, უნდა ვთქვათ, რომ ასეთების დიდ უმრავლესობას სხვა და სხვა სახელმწიფო და დაწესებულებებს კერძო წარმოებაში მომუშავენი ან საბჭოთა მოსამსახურეები შეადგენენ და ეს მიწა და სახლი მათთვის გახდება სიბერისა და ინვალიდობის დროს ერთგვარი თავშესაფარი აქედან გამონაკლისს შეადგენენ ვაჭრები და სხვა არა მშრომელი ელემენტები მართალია, მათი პროცენტი არც პატარაა 9% მაგრამ მათი სამოსახლოების სიდიდე იშვიათად აღემატება 600 კვ. საჟენს, რადგან ეს სამოსახლოები შექმნილია უმთავრესად სააგარაკო ადგილების სახით, ასეთები-კი უმეტეს ნაწილათ იკვეთებოდა 300-400 კვ. საჟენიან ნაჭრებათ. ამასთანვე სამოსახლო ეტოვება მოქალაქეს ერთ ნაკვეთში და მხოლოდ მაშინ, თუ ზედ დგას საცხოვრებელი სახლი. ამის გამო როცა ვისმე რამდენიმე პატარა ნაკვეთი მიწა უჭირავს და მიწის შენარჩუნების მიზნით ყველა ნაკვეთებს სამოსახლო ნაკვეთებს ეძახის, მას ეძლევა უფლება ამ ნაკვეთებიდან აირჩიოს სამოსახლოდ მხოლოდ ერთი ნაკვეთი, რომელზედაც სახლი უდგას დანარჩენი ნაკვეთები-კი უნდა ჩაეთვალოს მიწის ნორმაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სამოსახლოს ეძახიან და ამით სურთ შეინარჩუნონ მიწა ისეთმა პირებმა, რომელთაც საცხოვრებელი სახლი სოფლად არა აქვთ და მიწის სარგებლობის უფლებასაც მოკლებული არიან. ასეთებს არავითარი სამოსახლო არ ეტოვება.

(დასასრული იქნება)

პრაქტიკოსის უანიუზნაჰი. *)

სასამართლოებში საქმეების გარჩევის წესრიგი.

იუსტიციის მუშაკთა ცხოვრებაში არის ზოგიერთი საკითხი, რომელსაც არ აქვს პრინციპული ხასიათი, მაგრამ იმ პირთა მუშაობაში, რომელნიც სასამართლოში მხარეთა წარმომადგენლებად გამოდიან, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის განკარგულებით ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებების და საწარმოს მიერ სასამართლოში აღძრული სარჩელი ირჩევა რიგს გარეშე. ამის საწინააღმდეგო არასდროს არ ითქმის, რადგანაც ზოგიერთი სახელმწიფო სამეურნეო ორგანოს მდგომარეობა მოითხოვს საქმის სასწრაფოდ დასრულებას.

აგრეთვე ჩვენ ვიცით, რომ სასამართლოს საჯარო სხდომაზე ზოგიერთი საქმე ირჩევა პირველ რიგში და მხარის წარმომადგენელს საშუალება ეძლევა ადრე გაი თავისუფლოს თავი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, არსებობს თუ არა ამის შესახებ რამე განკარგულება იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, თუ ეს წესი შემოღებულია ზოგიერთი სასამართლოს მიერ თავისი შეხედულებით.

შრომის სასამართლო პირველ რიგში არჩევს იმ საქმეს, რომელშიდაც მოსარჩლის (მშრომელის) ინტერესის დამცველად გამოდის პროფკავშირის წარმომადგენელი. საბინაო სასამართლო პირველ რიგში არჩევს იმ საქმეებს, რომლებშიდაც მოპასუხის (პროფკავშირის წევრის) ინტერესის დამცველად გამოდის პროფკავშირების საბჭოს იურისკონსულტი და ბინათკავშირის იურისკონსულტი, რომელიც იცავს საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა ინტერესს, ესე იგი მოსარჩლის ინტერესს.

სახალხო სასამართლოებს და მაზრის სასამართლოს ამის შესახებ არ აქვთ შემოღებული არავითარი წესი, ხოლო სახელმწიფო ორგანოების იურისკონსულტების საქმეს, მათი თხოვნით, არჩევენ რიგს გარეშე და მათ დროით ათავისუფლებენ. უზუნაეს სასამართლოს, რამდენადაც ჩვენ შეგვიძინევი, ამის შესახებ არ აქვს შემოღებული არავითარი წესი.

სასამართლოსათვის საქმის ადრე თუ გვიან განხილვის მნიშვნელობა არა აქვს რადგანაც მისთვის სულერთია, რომელი საქმე გაირჩევა უწინ და რომელი მერე, მაგრამ სახელმწიფო ორგანოების იურისკონსულტებისათვის ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ორგანოს იურისკონსულტს ერთსა და იმავე დღეს აქვს რამდენიმე საქმე სხვა და სხვა სასამართლოში და თუ მას არ მიეცა საშუალება ერთ ადგილას დაიცვას საქმე უფრო ადრე და შემდეგ წავიდეს მეორე ადგილას, ის ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას. წესი, რომელიც შემოღებულია შრომის და საბინაო სასამართლოებში, მოსაწონია, ხოლო მისი ცხოვრებაში გატარება უნდა ხდებოდეს უფრო მიზანშეწონილად და ამ მხრივ ჩვენ ყურადღებას იქცევს უმთავრესად შრომის სასამართლოს პრაქტიკა.

როგორც ვსთქვით, შრომის სასამართლო პირველ რიგში არჩევს პროფკავშირების საქმეს და ასეთ საქმეზე

მშრომელის ინტერესების დამცველად გამოდიან სხვა და სხვა კავშირების წარმომადგენლები და მხოლოდ იშვიათად პროფკავშირთა საბჭოს იურისკონსულტები. თუ ასეთ საქმეებზე მოპასუხედ არის სახელმწიფო ორგანო ან კერძო პირი, ამით მათაც ეძლევათ საშუალება საქმის ადრე გარჩევისა. მაგრამ ბევრია ისეთი საქმე, როდესაც მშრომელს (კავშირის წევრს) ჰყავს აყვანილი დამცველი კერძო შეთანხმებით ან სრულიად არაჰყავს და სარჩელი მიმართულია სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ, — ასეთს შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოს იურისკონსულტის საქმე ვერ გაირჩევა ისეთი საქმის, ადრე, რომელშიც მოპასუხე კერძო პირია და მოსარჩლის ინტერესის დამცველი პროფკავშირის წარმომადგენელი.

თუ სარჩელი აღძრულია პროფკავშირის მიერ, მისა წარმომადგენლის დაუსწრებლად საქმე არ ირჩევა მიუხედავად იმისა, რომ მას უწყება ჩაბარებული აქვს; ასეთი საქმე ან გადაიდება, ან სასამართლო უცდის წარმომადგენელის მოსვლას, და როდესაც უნდა მოვიდეს, საქმე ირჩევა რიგს გარეშე. ეს ძალიან კარგია, ამას საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, ხოლო არის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელს არ უცდიან და როდესაც მას უწყება ჩაბარებული აქვს, საქმეს არჩევენ.

ეს საკითხი არ არის უფლებრივი, არამედ საპროცესო და უფრო კი პრაქტიკული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხარეები: — მშრომელი-მოსარჩლე და სახელმწიფო ორგანო-მოპასუხე, უნდა იყვნენ ჩაყენებულნი თანაბარ პირობებში.

შრომის სასამართლოში უპირატესობა უნდა ჰქონდეს მშრომელს და მის ინტერესის დაცვას — ეს უდაოდებულეა, მაგრამ არის სახელმწიფო წარმოება, ჩვენი ცხოვრების უდიდესი ფაქტორი, რომლის აღორძინებაზე დამოკიდებული მომავალი საზოგადოების ბედი და მის ინტერესების დაცვასაც უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში. შრომის სასამართლოს შედგენილობის ერთი წევრი, თუ არ ვცდებით, ითვლება სახალხო მღურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლად, ესე იგი სახელმწიფო წარმოებისა. პროფკავშირის თანამშრომლები სასამართლოში გამოდიან მხოლოდ შრომის საქმეებზე, ერთს ადგილას და თითქმის ერთს დარბაზში. სახელმწიფო ორგანოს იურისკონსულტები გამოდიან სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვა სასამართლოებში, პროფკავშირის წარმომადგენლებისათვის არ აქვს დიდი მნიშვნელობა გაირჩევა საქმე ერთი საათით ადრე თუ გვიან, მაგრამ სახელმწიფო ორგანოს იურისკონსულტისათვის კი ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მან შეიძლება ვერ მიუსწროს საქმის გარჩევას მეორე სასამართლოში, რადგანაც ხშირად კავშირების საქმე გრძელდება შუადღის 1-2 საათამდე და იურისკონსულტმა არ იცის წავიდეს სხვა სასამართლოში, თუ იცადოს, რის გამო ის ხანდახან ვერ ესწრება საქმის გარჩევას შრომის ან სხვა სასამართლოში.

ჩვენ მიერ დასმული საკითხი არის პრაქტიკული, მაგრამ მას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მის მოსაწესრიგებლად, რამდენადაც ეს შეიძლება, იუსტიციის კომისარიატმა უნდა მისცეს ყველა სასამართლოს სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რა წესიც უნდა იქნეს შემუშავებული, სასამართლომ ის, ეგებ, ყოველ-

*) დისკუსიის წესით.

თვის მტკიცედ ვერ გაატაროს ცხოვრებაში და ამ შემთხვევაში მან უნდა გამოიჩინოს ინიციატივა. არის შემთხვევა, როდესაც სასამართლოში გამოწვეულია მხარე ან მოწმე პროვინციიდან, როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში სასამართლო, რომელი საქმე უნდა გაარჩიოს უწინ ეს მისი შეხედულების საკითხია. აგრეთვე პირველ რიგში უნდა ირჩეოდეს ისეთი საქმე რომელშიდაც დანიშნულია სახაზინო დამცველი და სხვა და სხვა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლოში საქმის გარჩევის წესრიგს კავშირი აქვს პროცესის გამარტივებასთან და ამის გამო ამ საკითხის დროზედ მოწესრიგება არ იქნება ზედმეტი.

ი. ფირცხალაიშვილი.

პროცესის გამარტივებისათვის.

საქმის გაჭიანურების და სამაზრო სასამართლოებში ბიუროკრატიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად საქიროა ს. ს. ს. კ. იქნას შეტანილი შემდეგი ცვლილებები.

1. თუ გამოცხადებული მოწმეების დაკითხვა არ იქნება ცნობილი საქმის განხილვისათვის, დაკითხულ უნდა იქნენ გამოცხადებული მოწმეები, საქმის გამოძიება კი გადადებული დანარჩენ მოწმეების დასაკითხავად და შემდეგ სხდომაზე სასამართლოს შერ გაოქვეყნებული უნდა იქნეს დაკითხულ მოწმეების ჩვენებები.

2. სამსჯავრო კვლევა-ძიების დროს თუ სასამართლო დარწმუნდება საქმის მასალების მხედვით, რომ ესა თუ ის მოწმე იძლევა აშკარად ცრუ ჩვენებას, უფლება უნდა მიენიჭოს სათანადო გაფრთხილების შემდეგ მისცეს ცრუ მოწმე პასუხისგებაში და იმავე სხდომაზე გაასამართლოს - დაადგინოს დასაბუთებული განაჩენი. ეს ზომა ერთი შეხედვით შეიძლება არ იყოს მისაღები, მაგრამ თუ ჩვენ შევხედავთ რეალური თველსაზრისით მისაღებია, ვინაიდან: ა) ინსასამართლო, რომელიც არსებითად იხილავს საქმეს, უფრო კარგად შეაფასებს მოწმის ჩვენების ღირებულებას, ბ) არ ექნება ადგილი ვაჭიანურებას, გ) დამსწრე საზოგადოებისათვის ეს იქნება თვალსაჩინო გაკვეთილი, დ) საკასაციო ინსტანციის ექნება შესაძლებლობა გადაათვალიეროს მთელი საქმე და არა ოქმების ამონაწერები.

3. დაზარალებულის დაუსწრებლობამ თუ მას უწყება აქვს ჩაბარებული არ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.

4. სიტყვა მხარეებისათვის უნდა იქნეს განსაზღვრული თვითთულ საქმეზე ცალკე დადგენილებით (რეგლამენტი).

5. თუ სამსჯავრო ძიების დროს გამოირკვევა რომ პასუხისგებაში მიცემულის ქმედებაში არის ნიშნები ბოროტმოქმედებისა, რომელზედაც მას მოკლის მეტი ზომის სოც. დაცვის ღონის ძიება, ვიდრე გათვალისწინებულია მისთვის წაყენებულ მუხლში, სასამართლოს მიეცეს უფლება წაუყენოს მას ბრალდება და თუ შესაძლებელია იმ სხდომის დროს წაყენებულ ბრალდების გამოკვევა, განიხილოს საქმე ახალი კვალიფიკაციის მიხედვით.


7. ს. ს. ს. კ. 436 მუხლში იქნეს შეტანილი ცვლილება—საკასაციო ინსტანციის მიერ ცვლილების შეტანის დროის 1 ინსტანციის მიერ შეფარდებული სოც. დაცვ. ღონისძიება არ იქნეს ზემდგომ ინსტანციის მიერ შემცირებული, არამედ განაჩენის დამტკიცების შემდეგ საკასაციო ინსტანციამ მხოლოდ სურვილი უნდა გამოსთქვას, რომ, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეფარდებული სოც. დაცვის ღონის ძიება დაწესებული იქნეს, და ამ საკითხის გადაჭრა მიენდოს იმ სასამართლოს, რომელმაც არსებითად განიხილა საქმე და რომელსაც კარგად ჰყავს შესწავლილი ბრალდებული.

ზუგდიდის მაზრის მოსამაროლე ერ. როდონია.

ს. ს. კ. 158 მ. 1 ნაწ. და 174 1 ნაწ შესახებ. *)

აღნიშნული მუხლების პირველი ნაწილები ერთი მეორეს აბათილებენ და ამიტომ ჩემის აზრით სრულიად მიზანშეწონილი იქნება თუ ერთ-ერთი მათგანი სრულიად იქნება ამორიცხული ს. ს. კოდექსიდან. კიდევ მეტი: ორივე ამ მუხლის არსებობა კოდექსში მრავალ გაუგებრობას იწვევს ქმედობის კვალიფიკაციის დროს და ხშირად ერთი და იგივე ქმედობა ხან ს. ს. კ. 158 მ. 1 ნაწილის, ხან კი 174 მ. 1 ნაწილის მიხედვით კვალიფიცირდება. რას ამბობს ს. ს. კ. 158 მ. 1 ნაწილი? აი რას: განზრახ გარტყმა, ცემა ან სხვა ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, გამოიწვევს და სხვ.; ს. ს. კ. 174 მ. 1 ნაწ. კი ამბობს: ვისიმე შეურაცხყოფა მოქმედებით, გამოიწვევს და სხვ. ერთი ამ მუხლთაგანი, სახელდობრ 158 მ., შედის დანაშაულებათა იმ ჯგუფში (კარი 2), რომელიც ეხება სხეულის დაზიანებასა და ძალადობას პიროვნების წინააღმდეგ: მეორე კი ე. ი. 174 მ. იმ დანაშაულებათა ჯგუფში, (კარი 5), რომლებიც შეიცავს დანაშაულებრივ ქმედობებს პიროვნების ღირსების წინააღმდეგ. რა ხასიათის უნდა იყოს გარტყმა, ცემა ან სხვა ძალადობა, რომ ის ამავე დროს არ იყოს მიმართული პიროვნების ღირსების წინააღმდეგ? ან როგორი უნდა იყოს მოქმედებით შეურაცხყოფა ე. ი. იგივე ცემა, გარტყმა და სხვ., რომელიც ამასთანავე არ ატარებდეს ძალადობის ნიშნებს პიროვნების წინააღმდეგ? ან და როგორი უნდა იყოს გარტყმა და ცემა, რომელიც არ მიაყენებს პიროვნებს ფიზიკურ ტკივილს (ს. ს. კ. 158 მ. 1 ნაწ. ხომ ისეთი გარტყმა და ცემა აქვს მხედველობაში, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა) და ან შეურაცხყოფა მოქმედებით, ე. ი. იგივე ცემა, გარტყმა და სხვ., რომელზედაც მოგვითხრობს ს. ს. კ. 174 მ. 1 ნაწ. ფიზიკური ტკივილის გამოწვევი არ არის თითქმის ყოველთვის? ამნაირად აღნიშნული მუხლების ეხლანდელი რედაქცია მრავალ შეუსაბამობას იწვევს, რაც ხშირად ჰქმნის ქმედობის კვალიფიკაციის დროს გაუგებრობას, და ჩვენის აზრით სრულიად მიზანშეწონილი იქნება, თუ ერთი მათ-

*) დისკუსიის წესით.



განი, ვთქვათ 174 მ. I ნაწ., ამორიცხული იქნება ს. ს. კოდექსიდგან და მეორე მუხლის რედაქცია შეიცვლება დაახლოებით შემდეგნაირად: განზრახ გარტყმა, ცემა, მოქმედებით შეურაცხყოფის მიყენება ან სხვა ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ, გამოიწვევს და სხვ. სოც. დაც. ღონის ძიების ზომად ამ შემთხვევაში დარჩება ის ზომა, რომელზედაც მიუთითებს 158 მ. I ნაწ., ე. ი. თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითა მუშაობა ექვს თვემდე. ვიმეორებ, ასეთი ცვლილების შეტანა გაამარტივებს იმ დანაშაულებრივ ქმედობის მცნებას, რომელსაც ეს მუხლები ეხებიან და ქმედობის კვალიფიკაციისას ყველა გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული.

სახ. მოსამართლე: დ. ხახაძე.

ერთ-ერთი ნაკლი ნოტარიულ წესით გარიგებათა დამოწმებისა.

ზუგდიდის მაზრაში ხშირი იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, რის აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძევა იყო მიღებული. მიწის მყიდველ-გამყიდველებს თითქმის მოესპოთ საშუალება მიწის ყიდვა გაყიდვისა, მაგრამ სამწუხაროდ მათ გამოიყენეს ამისთვის სანოტარო ორგანო და 1927-წლის 15 ნოემბრამდე უმეტეს შემთხვევაში მიწის ყიდვა გაყიდვა არის დამოწმებული სხვადასხვა სანოტარო წესით. მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს:

ა) სანოტარო წესით შემოწმებულ გარიგებაში აღნიშნულია, რომ სახლის საფასურად მყიდველი აძლევს გამსხვილებელს 1500 მანეთს, მაშინ როდესაც სამფინგანი იძლევა მოწმობას, რომ სახლი ღირს 300 მანეთად. ასეთი თვალსაჩინო განსხვავება 1200 მანეთის რაოდენობით-იმის მაჩვენებელია, რომ ამ თანხას მყიდველი აძლევს გამსხვილებელს მიწის საუსურად. ამიტომ წინასწარ კომისიის მეშვეობით უნდა ყოფილიყო შეფასებული სახლი და, თუ დადასტურდებოდა, რომ სახლის ღირებულება უდრის 300 მანეთს, გარიგება არ უნდა ყოფილიყო დამოწმებული, რადგან ასეთს შემთხვევაში იყიდება არა მარტო სახლი, არამედ მიწაც.

ბ) დამოწმებულ გარიგებაში აღნიშნულია, რომ გასხვისებულია სახლი 160 კვადრატულ საყენი მიწით, ხოლო სამფინგანის მიერ გაცემულ მოწმობაში ნაჩვენებია, რომ შენობა არის სავაჭრო და ღირს 300 მანეთად. აქედან აშკარაა, რომ გასხვისებულია არა სახლი, არამედ სავაჭრო ხის შენობა და რომ სავაჭრო შენობა იყიდება არც ეს არის დამოწმებულ გარიგებაში აღნიშნული. სავაჭრო ხის შენობის გასხვისებისას არ მიეკუთნება 160 კვადრ. საყენი მიწა, მაგრამ კანონის ასეთი მოთხოვნა დარღვეულია.


რათა ასეთი გაუგებრობა და ამ გაუგებრობის ნიადაგზედ მიწის ყიდვა-გაყიდვა აღმოიფხვრას, საჭიროა სანოტარო ორგანოებმა სახლისა და შენობის გასხვისებისას დაუკვირდნ მხარეების გარიგებათა შინაარსს, რომ არსებული კანონი არ იქნეს დარღვეული.

ზუგდიდის მაზრის პროკურორი: ბ. შინია.


სტარინოლოგიის მასალისათვის
მასალა და ფენიფენები.

II.

- Игорный дом—სამორინო
- Игра картежная—ბანქოს თამაში, ბანქოობა
- Идеал—იდეალი
- Идеальный—იდეალური
- Идеализировать—იდეალიზირება
- Иждивение—რჩენა
- Избиратель—ამომრჩეველი
- Избирательный—საარჩევნო
- Избрание, избрать избирать—არჩევა ამორჩევა
- Избыток—სიჭარბე, ნამეტი
- Избыточный—მოჭარბებული, ჭარბი, ნამეტანი
- Извлекать, извлечь, извлечение—ამოღება, ამოკრება
- Извращать, извращение—წარყვნა, შერყვნა, დამახინჯება; წარყვნილობა
- Известный—ცნობილი, უწყვეტული
- Извещение, извещать, известить—ცნობა; ცნობება
- Изгнание, изгнать—გაძევება, განდევნა, ექსორია
- Изгнание плода—მღცლის მოწყვეტა
- Изготовление, изготовлять—მომზადება
- Изддержать, издержание, издержки—ხარჯი, ნახარჯი
- Издание, издать—გამოცემა
- Издатель—გამომცემელი
- Издательство—გამომცემლობა
- Изделие—ნაკეთი, ნახელავი
- Излишек - ზედმეტი, ნამეტანი
- Излишество - ნამეტანობა
- Излишний--ნამეტანი
- Изложение, изложить, изложить—მოყოლა
- Измена—ლაღატი
- Изменник—მოღალატე
- Изменничество—მოღალატეობა
- Изменнический—მოღალატური
- Изменение, изменить—ცვლება, ცვლილება
- Изменчивость—ცვლებადობა
- Изменчивый—ცვლებადი
- Измерение, измерить—აწყვეა, გაზომვა, გაზომილება
- Измеримый—ზომადი
- Измеримость—ზომადობა
- Измерительный—ზომი
- Изнаселование, изнаселовать—ძალადობა
- Износить, износ—გაცვეთა, ცვეთა
- Изношенный—გაცვეთილი, ცვეთილი
- Изобличение, изобличить—მხილება, მხილაობა
- Изобличение в чем.—(ზილებული რისათვის...!)
- Изображение—გამოხატულება, გამოსახულება, გამონასახი
- Изобразить—გამოსახვა, გამოხატვა
- Изобретение, изобрести—გამომგონება
- Изобретатель—გამომგონი
- Изобретательный—საზრიანი
- Изобретательность—საზრიანობა
- Изолировать—განმზოლოება, იზოლირება
- Изолирование—იზოლირება



- Изоляция—იზოლაცია
 Изоляционный—იზოლაციური, საიზოლაციო
 Изувер—ურჯუკი, რჯულგარეგანი
 Изуверный; изуверство—ურჯუკი, რჯულგარეგანი, ურჯუ-
 კობა, რჯულგარეგანობა
 Изувечение, изувечить—დასახიჩრება
 Изуство—ზეპირად
 Изустный—ზეპირი
 Изучение, изучить—შესწავლა
 Из корыстных видов—ანგარებით
 Изыскание изыскать—კვლევა
 Изыскатель—მკვლეველი
 Из'ятке, из'ять—გამოყოფა, გამოკლება
 Из'ятие из закона, —правила—კანონის წესის გამონაკლისი
 Именно—სახელდობრ
 Именной—სახელდობრივი
 Именованный—სახელდებულნი
 Именованная—სახელდება, სახელდება
 Имущество—ქონება
 Имущественный—ქონებრივი
 Имущий—შეძლებული
 Именье—მამული
 Имя—სახელი
 Инвалид—ინვალიდი
 Инвентарь—ინვენტარი
 Инвентарный—ინვენტარული, საინვენტარო
 Индивид—ინდივიდი
 Индивидуальный—ინდივიდური
 Индивидуальность—ინდივიდუალობა
 Индивидуализировать—ინდივიდუალიზირება
 Индивидуализация—ინდივიდუალიზაცია
 Индуктивный—ინდუქციური
 Индукция—ინდუქცია
 Индуцировать—ინდუქტირება
 Индустрия—ინდუსტრია
 Индустриализация—ინდუსტრიალიზაცია
 Индустриальный—ინდუსტრიული, საინდუსტრიო
 Инертность—ინერტობა
 Инертный—ინერტი
 Инерция—ინერცია
 Инициатива—ინიციატივა, თაოსნობა
 Инициативный—ინიციატიური
 Инициатор—ინიციატორი
 Иноходец—სხვატომისა, სხვატომი
 Инородческий—სხვატომური
 Иностранно-поданный—უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი
 Иностранный; иностранец—უცხოური; უცხოელი
 Инстанция—ინსტანცია
 Инстанционный—ინსტანციური, საინსტანციო
 Инструкция—ინსტრუქცია
 Инструктор—ინსტრუქტორი
 Инструктировать—ინსტრუქტირება
 Инструктивный—ინსტრუქტიური
 Инструкционный—საინსტრუქციო
 Интенсивность—ინტენსიობა
 Интенсивный—ინტენსივი
 Интервенция—ინტერვენცია
- Интервенционный—ინტერვენციური, საინტერვენციო
 Ипотека—ჰიპოტეკა
 Ипотечный—ჰიპოტეკური, საჰიპოტეკო
 Иск—სარჩელი)
 Искатель приключений—ფათერაკის მაძიებელი)
 Исковой—სასარჩლო
 Исковая давность—სასარჩლო ხანდაზმულობა
 Исковое прошение, заявление—სასარჩლო არზა, განცხადება
 Исковое требование—სასარჩლო მოთხოვნა
 Искать, искажение—წარყენა, შერყენა; წარყენილობა,
 შერყენილობა
 Исключение—გამონაკლისი
 Исключить—გამოკლება, გამორიცხვა
 Исключение из правила—წესის გამონაკლისი
 Исключение из службы—სამსახურიდან გამორიცხვა
 Исключительно—განსაკუთრებით
 Исключительный—განსაკუთრებული
 Искомый—საძიებელი, საძებარი, ძიებადი
 Искусно—ხერხიანად, შნოიანად, ლაზათიანად
 Искусный—ხერხიანი, შნოიანი, ლაზათიანი
 Искусство—ხელოვნება
 Искусственный—ხელოვნური
 Испарение—ანაორთქლი (პროდუქტი), აორთქლება, (პრო-
 ცესი)
 Исповедание—აღსარება
 Исполнение, исполнить—აღსრულება, შესრულება
 Исполнитель—აღმასრულებელი, შესრულებელი
 Исполнительный—აღმასრულებელი, აღსრულებადი
 Исправление, исправлять—გასწორება, გამართვა
 Исправительный—გამასწორებელი
 Исправдом—გამსახლი
 Исправно—რიგიანად, გამართულად, თავიანად
 Исправность—რიგიანობა, გამართულობა, თავიანობა
 Исправный—რიგიანი, გამართული, თავიანი
 Испросить—გამოთხოვა
 Испытание, испытать—განსაცდელი; გამოცდა
 Испытательный—გამოსაცდელი, გამოსაცადი, საცდელი
 Исследовать, исследование—კვლევა, გამოკვლევა
 Исследователь—მკვლევარი
 Истец—მოსარჩლე
 Истечение срока—ვადის განვლა, გასვლა
 Исток—სათავე
 Источник—წყარო
 Истребление, истреблять—მოსპობა, განადგურება, მოწყვეტა
 Истребование, истребовать—დაბარება
 Истцовая сторона—მოსარჩლე მხარე
 Истязание, истязать—წამება, გაწამება
 Исходный—დაწყებითი, დასაბამითი; გამოსავალი
 Исходящая книга—გასულის წიგნი
 Исчерпать, исчерпание—ამოლევა
 Исчерпать вопрос—საკითხის ამოლევა
 Исчерпывающий—ამომლევი
 Исчерпывающий доклад—ამომლევი მოხსენება
 Ичисление, ичислить—გამოთვლა, აღრიცხულობა
 Итог—ჯამი
 Итожить—ჯამება
 Индосамент—ინდოსამენტი



- Индосатор—ინდოსატორი
- Инкассо—ინკასო
- Инкассатор—ინკასატორი
- Инкассовый —ინკასური, საინკასო
- Инкассировать — ინკასირება
- Испекция—ინსპექცია
- Испектор — ინსპექტორი
- Интерес—ინტერესი
- Интересный—საინტერესო
- Интересовать, -ться — დაინტერესება
- Информация—ინფორმაცია
- Информационный — ინფორმაციული, საინფორმაციო
- Информатор — ინფორმატორი
- Инкриминировать—ინკრინინირება
- Индиферентизм—ინდიფერენტიზმი
- Индиферентный — ინდიფერენტი
- Индиферентность—ინდიფერენტობა
- Инстинкт—ინსტინქტი
- Инстинктивно—ინსტინქტურად
- Инстинктивность—ინსტინქტურობა
- Инстинктивный—ინსტინქტური

შენიშვნები

1) რუსული ენის კონსტრუქციის გავლენით ჩვენში ხშირად უმართებულო კონსტრუქციას—„მხილება და-ნაშალაში“, „მხილება ქურდობაში“ და სხ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი კონსტრუქცია ქართული არ არის და ქართველის სმენას და ენობრივ გემოვნებას ეჩოთირება. ჩვენ შევხვედრივართ (მაგ. ბიბლიაში) კონსტრუქციას „მხილება რისთვისმე“—„მსხვერპლთა შენთათვის ვამხილე“—და ეს კონსტრუქცია უნდა აღვადგინოთ და განვამტკიცოთ ხმარებაში და ვილაპარაკოთ და ვსწეროთ: ვამხილე ქურდობა ან ქურდობისათვის, მხილებული მკვლელობისათვის და სხ.

2) ამ სიტყვის ხმარების შესახებ ჩვენს პრაქტიკაში სამართლიანად ითქმის: ზოგი ალთას და ზოგი ბალთასო. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე არხაში ან გადაწყვეტილებაში ამბობს: სარჩელი, ძიება, მოსარჩლე, სარჩიელი (?), მოსარჩილე (?), მაძიებელი, საძიებელი და სხ. ყველა ეს ტერმინი ისეა ერთმანეთში არეული, რომ აშკარაა—თვით ამის დამწერს თავ-გზა დაბნევიდა და ვერ გამოუჩვენებია, როდის რა ტერმინი და რა მნიშვნელობით იხმაროს. ამიტომ ერთხელ და საბოლოოდ და საყოველთაოდ უნდა დავადგინოთ, რომ რუსული „ისკ“-ის ქართული შესატყვისია—სარჩელი და აქედან იწარმოება ტერმინები: მოსარჩლე, სასარჩლო, სარჩლობა და სხ.

3) ამ სიტყვის ნაცვლად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და საერთოდ მწერლობაში იხმარება (და სამწუხაროდ საკმაოდ ცნობილი მწერლების მიერ)—თავგადასავალის მაძიებელი, რაც სრულიად არ გამოხატავს იმას, რასაც რუსი ამბობს, ვინაიდან თავგადასავალი ის არის, რაც ადამიანმა წარსულში უკვე განვლო, განიცადა და მისი ძებნა მომავალში შეუძლებელიც არის და უაზრობაცაა. ხალხსაც მარტოოდენ ამ მნიშვნელობით ესმის სიტყვა—თავგადასავალი, როცა ამბობს: თავგადასავალი მიაბეგო, ე. ი. მიაბეგე ის, რაც უკვე წარსულში გადაგხდაო. აკაკი

წერეთელსაც ამ მნიშვნელობით აქვს დაწერილი „ჩემი თავგადასავალი“. ამიტომ ქართულად მართებული იქნება ვსთქვათ—თავთერაკის მაძიებელი (ასე ახასიათებს სხვათა შორის ა. ყაზბეგი „ოზდენებს“).

ბ. ქავთარაძე.

ქ რ მ ნ ი პ ა

აჭარისტანის წარმომადგენელი საქ. ხსრ უზ. სასამართლოს პლენუმის სხდომაზე.

➔ იუსტსახკომის კოლეგიის დადგენილებით აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს წარმომადგენელს მიეცა საქ. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის სხდომაზე გადაამწყვეტი ხმით დასწრების უფლება.

სხვა და სხვა კომისიების დაარსება.

➔ **სამოქ. საპროცესო კოდექსის გამართვების მიზნით** იუსტსახკომის ამხ. ვარძიელის ბრძანებით შემდგარი იყო კომისია ამხ. ა. კაჭარავას თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შემადგენლობით: ს. ხარაბაძე, მ. ქორქაშვილი, ა. ალხოვი, ა. აკოფოვი, მ. ორჯნიკიძე, მ. კაკულია, პ. გრიჭურაშვილი, გ. დადიანი, ო. ლეჟავა, ა. კალანდაძე, ბ. მოისრაფეშვილი, ლ. ჟღენტე და გ. დანელია. კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა, რომლის შედეგებსაც გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში.

➔ იუსტიციის სახალხო კომისარიატის, მისი განყოფილებების, ტფილისის მაზრა ქალაქის სასამართლოს და ტფილისის უბნის სახალხო სასამართლოების ტენიკურ თანამშრომელთა კვალიფიკაციის და მათ მიერ დაკავებულ თანამდებობათა შეფერების გადასინჯვის მიზნით დაარსებულია კომისია ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით და ამხ. ა. კალანდაძისა და კ. ენუქიძის შედგენილობით.

➔ წიგნებისა და ბლანკების არსებული ფორმის გადასინჯად იუსტსახკომის ბრძანებით შექმნილია კომისია ამხ. ა. კაჭარავას თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შედგენილობით: შავიშვილი, პლეტნიკოვი, ხარაბაძე, ტატიშვილი, დარახველიძე, ადამიძე, დანელია, მაჩაბლიშვილი, სუფსისპირელი, კიზირია და ბრეგვაძე.

ახალი სანოტარო კანტორები.

➔ იუსტსახკომის ამხ. ვარძიელის ბრძანებით ა-წ. 20 აპრილიდან დაარსებულ იქნა სანოტარო კანტორები სენაკში და სამტრედიაში.

გამფლანგველის დაპატიმრება.

◆ დაპატიმრებულია უზენაეს სასამართლოს მდივნის თანაშემწე **კონსტანტინე ხვიჩია**, რომელსაც სხვადასხვა ყალბი დებუებების შედგენის საშუალებით გაუფლანგავს 1087 მანეთი.

ახალი დანიშვნები და სამსახურიდან განთავისუფლება.

◆ ყარაიაზის უზნის სახ. მოსამართლე **მესტი იბრაგიმოვი** განთავისუფლებულია სრულიად თავის თანამდებობიდან ა-წ. 1 ივნისიდან.

◆ ლავოდების სახ. გამომძიებელი **კალენიკე ცქიტიშვილი** განთავისუფლებულია სამსახურიდან ა-წ. 30 აპრილიდან.

◆ დუშეთის მაზრის პროკურორი **ამხ. ვარდენ კაკაბაძე** განთავისუფლებულია დუშეთის მაზრის პროკ. თანამდებობიდან ა-წ. პირველი აპრილიდან და იმავე რიცხვიდან მის ადგილზე დანიშნულ იქნა **ამხ. კლიმენტი შონია**.

◆ ტფ. მე-3 უზნის სახ. მოსამართლე **იოს. მოხესოვი** ა-წ. 19 აპრილიდან გადაყენებულია თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ დროებით დანიშნულია **ამხ. ი. კალანდაძე**.

◆ თელავის უზნის სახ. მოსამართლე **ამხ. ვლადიმერ ბერძენიშვილი** განთავისუფლებულ იქნა თელავის უზნის მოსამართლის თანამდებობიდან ა-წ. 1 იანვრიდან და ამავე რიცხვიდანვე დამტკიცდა ქარელის უზნის მოსამართლედ, ხოლო ქარელის უზნის სახ. მოსამართლე **ილარიონ კაციტაძე** განთავისუფლებულ იქნა ქარელის უზნის მოსამართლის თანამდებობიდან და დამტკიცებულ იქნა ქ. ტფილისის საბინაო საქმეთა მოსამართლედ.

◆ ტფ. საბინაო საქმეთა მოსამართლე **ნიკ. ჭელიძე** განთავისუფლებულია სრულიად თავის თანამდებობიდან ა-წ. 21 მაისიდან და მის მაგიერ დაინიშნა **ამხ. ვარდენ კაკაბაძე**.

◆ ა-წ. პირველი ივნისიდან ქ. ტფილისის საბინაო საქმეთა სასამართლოს მოსამართლეებად დროებით დამტკიცებული არიან შემდეგი ამხანაგები: **ბ. ავეტიკიანი, ლ. ხუჭუა, პ. ხარებავა, მ. კალანდაძე და გ. ანდრიაძე**.

დამცველთა კოლეგიის სხდომა.

კვირას 17 ივნისს დილის 10 საათზე მოწვეულია საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

- 1) მოხსენება დკ პრეზიდიუმისა 6 თვის მუშაობის შესახებ.
- 2) საწევრო გადასახადის საკითხი.
- 3) ურთიერთ დამხმარე სალაროს საკითხი.
- 4) დამცველთა კოლეგიის მნიშვნელობა საბჭოთა სასამართლოში (მომხს. **შ. მესხიშვილი**).
- 5) მიმდინარე საკითხები.

დერნბურგი ქართულ ენაზე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემით გამოვიდა **ჰენრიხ დრენბურგის „პანდექტები“**—ზოგადი ნაწილი, ტომი პირველი. თარგმანი **დოც. ლ. ანდრონიკაშვილის** რედაქტორობით. შეძენა შეიძლება უნივერსიტეტში გამომცემლობის კიოსკში **ამხ. მანუჩარ ჯანდიერთან**.

ფოსტა.

ვანი. ნ. სანიკიძეს. თქვენი წერილები „სასამართლოს აღმასრულებელი“ და „მ. ღვამიჩავას წერილის გამო“ არ იბეჭდება, რადგანაც პირველი წერილი იგივე აზრებს ატარებს, რაც **ამხ. გ. როდონაიას** წერილში უკვე იყო გამოთქმული, ხოლო მეორე წერილს აკლია დასაბუთება.

სამატრედია. ბ. ფარცვანიას. თქვენი წერილი „სახალხო სასამართლოთა მუშაობის გამარტივებისათვის“ სუსტია და არ იბეჭდება.

აქ. სამილიციო სკოლის კურსანტს თედო მესტიაშვილს. თქვენი წერილი „ბიუროკრატიზმის ნაშთები“ ატარებს პირად ხასიათს და ჩვენი ჟურნალისათვის გამოუსადეგარია. ჩვენი ჟურნალი ბიუროკრატიზმთან ბრძოლას აქცევს დიდ ყურადღებას. მოგაწოდეთ მასალები, მხოლოდ არ უნდა იყოს ასეთი დაწვრილმანებულნი.

აქ. ი. ვადაჭკორიას. თქვენი წერილი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის შესახებ“, დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

რედაქცია სთხოვს სამაზრო და სახალხო მოსამართლეებს რომლებიც ჩამოდიან პროვინციიდან ქ. ტფილისში—გამგზავრებამდე უსაბუთოდ შემოიარონ რედაქციაში.

იურიდიული დახმარება

კითხვა-პასუხი.

კითხვა:

მე მყავდა სიმამრი, რომელიც იმყოფებოდა ჩემს კმაყოფაზე, ვინაიდან მას არავითარი ქონება არ ჰქონდა და დაავადებული იყო. გარდა ამისა სიმამრი იყო ჩაწერილი ჩემს დამზღვევ წიგნაკში. დიდი ხნის ავთამყოფობის გამო სიმამრი ჩემი გარდაცვალება ამის გამო მე მივმართე დამზღვევ სალაროს თხოვნით მიეცა ჩემთვის დახმარება, მაგრამ სალარომ უარი მითხრა. გეკითხებით, რამდენად კანონიერია სალაროს ასეთი მოქმედება.

ასოთამწყობი **მ. სალდაძე.**

პასუხი:

დამზღვევი სალარო აძლევს დაზღვეულს იმ პირის გარდაცვალების გამო, რომელიც მის, დაზღვეულის კმაყოფაზე იყო, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ გარდაცვალებული აკმაყოფილებდეს სათანადო კანონით დაწესებულ პირობას. პირველ ყოვლისა გარდაცვალებულს არ უნდა ჰქონოდა შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო და ის ეკუთვნოდეს იმ პირთ რიცხვს, რომლებიც კანონის მიხედვით დაზღვეულის წევრთა ჯგუფს შეადგენენ. თანახმად საკავშირო მთავრობის შრომის სახალხო კომისარატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ 1927 წლის იანვრის 13-ს თარიღით და 8 №-ით დამტკიცებული წესების მუხლისა (Правила о назначе-

нии и выдаче дополнительных пособий по социальному страхованию) სსენებული მუხლის ძალით დაზღვეულს აქვს უფლება მიიღოს დახმარება ოჯახის წევრის დასაფლავებისათვის, ხოლო ოჯახის წევრთა რიცხვს ეკუთვნიან: 1) მეუღლე, 2) მშობლები, 3) შვილები, ძმები და დები, აგრეთვე აყვანილი ბავშვები, რომლებიც შევიდნენ დაზღვეულის ოჯახის შემადგენლობაში და გათანაბრებულნი არიან უფლებებში ნათესავებთან, ხოლო იმ პირობით, თუ მათ კიდევ არ შესრულებიათ 16 წელიწადი (მოსწავლეებს კი—18 წელიწადი), ან სავსებით არიან მოკლებულნი უნარს თანდაყოლილ ან მათ მიერ 16 წლის ასაკის შესრულებამდე მიღებულ ფიზიკურ და გონებრივ ნაკლის გამო; 4) ბებია და ბაბუა, თუ მათ არა ყავთ შვილები, რომლებიც მოვალენი არიან ისინი შეინახონ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ პირთა რიცხვს, რომლების სიკვდილის გამო დაზღვეულს შეუძლია მოითხოვოს დამზღვევი სალაროდან დახმარება, კანონი არ აკუთვნებს სიმამრს, შეკითხვაში დასმული საკითხი, რამდენად კანონიერია დამზღვევი სალაროს მოქმედება, უნდა იქნეს გადაწყვეტილი უარყოფითად. არა აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ გარდაცვალებული იყო ჩაწერილი დაზღვეულის დაზღვევის წიგნაკში, რადგანაც აღნიშნული დახმარებისათვის საჭიროა, რომ გარდაცვალებული აკმაყოფილებდეს წესებში აღნიშნულ პირობას, ე. ი. ეკუთვნოდეს იმ პირთა რიცხვს, რომლების გარდაცვალებასთან დაკავშირებულია კანონიერი მოთხოვნა დაზღვეულისა დახმარება აღმოუჩინოს მას დამზღვევ სალარომ.

რედაქციისკენ.

1. რედაქცია სთხოვს ავტორებს გვიგზავნონ ხელთნაწერები ან მანქანასე გადაბეჭდილი, ან დაწერილი სუფთა ხელით ფურცელის ერთ გვერდსე.
2. რედაქცია იტოვებს რედაქციულ შესწორებების და შეძოკვების უფლებას, თუ არა რბის ავტორის პირდაპირი წინააღმდეგობა.
3. დაწუნებულ მასალას რედაქცია უკან არ აბრუნებს.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ამიერ-კავკასიის სსსრ კანონმდებლობა

1928 წ. მაისის 21-დან ივნისის 5-მდე.

ვაჭრობა და მრეწველობა.

Об учете работы промышленных предприятий (ა-კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. მაისის 3 დადგ. № 44—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 23, № 171). ა-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან დაარსებული მრეწველობის მეთვალყურე ბიურო, რომელსაც ყოველთვიურად უნდა ეგზანგებოდეს მოკლე ცნობები ყველა სახელმწიფო, საცენზო, სამრეწველო, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოოპერატიული და კერძო საწარმოთა მუშაობის შესახებ. აქ ეს ცნობები უნდა მუშავდებოდეს საცენზო მრეწველობის გასაშუქებლად.

О регулировании расхода воды и гидроэнергии при устройстве гидроэлектрических станций местного значения (ა-კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. მაისის 3 დადგ. № 42—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 22, № 116) ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელექტრო-დადგმულობის პროექტის დამტკიცება, თუ ამ დადგმულობის ძალა 500 კილოვატს არ აღემატება, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი სათანადო ნაწილში შეთანხმებული იქნება რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან. როდესაც ჰიდროელექტროდადგმულობის ძალა 500 კილოვატს აღემატება, პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნეს ა-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან. შეთანხმება უნდა შეეგებოდეს წყლის გამოყენების, გაყვანისა და ჩაშვებისათვის საჭირო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პროექტებს. თუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს სწვევს სათანადო ეკოსო. საკითხი წყლის ამა თუ იმ ადგილიდან გამოყვანის და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს გამოკვლევის დაწყებამდე. ელექტროენერჯიის ხუთწლიანი გეგმები ს. მ. უ. ს-ებმა იმ ნაწილში, რაც შეეხება ჰიდროელექტროტექნიკურ დადგმულობას და სამელიორაციო გეგმებთან შეთანხმებას, უნდა შეუთანხმდეს წყალთა მეურნეობის ორგანოთ.

О порядке вывоза за пределы ЗСФСР хлопковых грузов и перевозки их в пределах ЗСФСР (ა-კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. მაისის 24 დადგ. № 46—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 31, № 124). ნედლი ბამბის, ბამბის ბოჭკოების, ჩახბუტის, ლინტერის და ბამბის გატანა ა-კ-იდან რკინის და წყლის სავალი გზით შეუძლიან მხოლოდ ა-კ. მებაბეობის კომიტეტს ან მთავარი მებაბეობის კომიტეტის რწმუნებულს (გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ჩახბუტისათვის) ყველა შემომდინი-შნული საგნის ა-კ-დან ფოსტით გაგზავნა აკრძალულია. ა-კ-ის ფარგალში კი გადატანა და გადაგზავნა შეუძლიან ყველას. ყველა შემთხვევაში საჭიროა სათანადო მოწმობა.

ტრანსპორტი.

О дополнении положения о междуведомственном тарифном совещании (ა-კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. მაისის 10 დადგ. № 45—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 30, № 123). სატარიფო თათბირის საგამგებლო საგნებს მიეკუთვნა საავტომობილო ტრანსპორტის ტარიფების დაწესებაც ა-კ. საავტო ტრანსპორტო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებისათვის და საკითხის აღძვრა საერთო საავტომობილო ტარიფების დაწესების შესახებ ა-კ-ში.

საქართველოს სსრ კანონმდებლობა

1928 წ. მაისის 21-დან ივნისის 5-მდე.

კანონი.

საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ (სრ. საქ. ც.ა. კ-ის და ს.კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 25 დადგ. № 22—კან. კრ. 1928 წ. № 7, მუხ. 52). საქართველოს საბჭოთა ყრილობისა, სრ. საქ. ც.ა. კ-ისა და მისი პრეზიდიუმისა, ს.კ. ს-ის და ეკოსოს ყველა დეკრეტი და დადგინლება, განსაკუთრებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუ-

შათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ში; ამასთანავე საკანონმდებლო ხასიათის დადგინლება გამოქვეყნდება კრებულის პირველ ნაწილში, ხოლო ყველა დანარჩენი დადგინლება—მეორე ნაწილში. დეკრეტი და დადგინლება, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მისი უფრო ფართოდ გავრცელება, კანონთა კრებულის გარდა, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს აგრეთვე გაზ. „კომუნისტში“. კანონთა კრებულში და გაზ. „კომუნისტ“-ში გამოქვეყნების შემდეგ კანონი შეიძლება დაიბეჭდოს საუწყებო ორგანოში. საუწყებო ხასიათის კანონი ამ ორგანოში შეიძლება დაიბეჭდოს კანონთა კრებულში და „კომუნისტ“-ში გამოქვეყნებამდეც.

საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ყველა იურიდიული პირის წესდება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ის მეორე ნაწილში.

საქართველოს ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა, აგრეთვე ც.ა. კ-ის და ს.კ.ს-ის განყოფილებისა და კომისიების დადგინლებანი განკარგულებანი და ინსტრუქციები, გარდა საიდუმლოსი, რაც გამოცემულია სრ. საქ. ც. ა. კ-ის, მისი პრეზიდიუმის, ს.კ. ს-ის ან ეკოსოს დადგინლების თანახმად, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „კანონთა და განკარგულებათა კრებულ“-ში, ხოლო როდესაც საჭიროა, ამას გარდა, გაზ. „კომუნისტში“-აც, სასწრაფო შემთხვევაში ასეთი აქტი შეიძლება პირდაპირ „კომუნისტ“-ში დაიბეჭდოს ხოლო „კანონთა კრებულს“ შემდეგში გაეგზავნოს. საუწყებო გამოცემაში ასეთი აქტი შეიძლება დაიბეჭდოს ამ გამოქვეყნების დამოუკიდებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის უფლება აქვს უარი სთქვას საუწყებო დადგინლებისა, განკარგულებისა და ინსტრუქციის გამოქვეყნებაზე, თუ იგი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ პირობას, ან ეწინააღმდეგება კანონს, ან გამოცემულია კომპეტენციის დარღვევით. ეს უარი შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ს.კ. ს-ოში.

ღარაიონება.

სიღნაღის და თელავის მაზრების გაერთიანების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 30 დადგ. № 36—„კომუნისტი“ ივნ. 2, № 126). სიღნაღისა და თელავის მაზრები გაერთიანებულ უნდა იქნენ მომავალი სამეურნეო წლიდან ერთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულად, ცენტრით სოფ. გურჯაანში. ამ გაერთიანებასთან დაკავშირებული საკითხების მოსამზადებლად და განსახილველად დაარსებულია საორგანიზაციო კომიტეტი.

რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების შესახებ (სრ. საქ. ც.ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 20 დადგ. № 37—„კომუნისტი“ ივნ. 2, № 127). რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები გაერთიანებულ უნდა იქნენ მომავალი სამეურნეო წლიდან ერთ ადმინისტრატიულ—სამეურნეო ერთეულად ცენტრით სოფ. ჭრებალში. ამ გაერთიანებასთან დაკავშირებული საკითხების მოსამზადებლად და განსახილველად დაარსებულია საორგანიზაციო კომიტეტი.

ბაგშვის პატრონობა.

უმატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შესაქმნელად სამდლიურის ჩატარების შესახებ ა.წ. აპრილის 22, 23 და 24 (სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. № 23—კან. კრ. 1928 წ. № 7 მუხ. 53). **სახალხო მეთურნეობა.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 16 დადგ.—„კომუნისტი“ ივნ. 2, № 126) სახელმწიფო საგვგმო კომისიის დაევალია შეადგინოს და წარუდგინოს ეკოსოს არა უგვიანეს ივლისის 25-ისა სახალხო მეურნეობის 1928—29 წ. საკონტროლო ციფრები. დაწესებულებებმა და საწარმოებმა ციფრები უნდა შეადგინონ საგვგმო კომისიის მიერ დანიშნულ ვადებზე.

ვაჭრობა და მრეწველობა.

გეოლოგიურ და გეოლოგიურ—საკვლევო სამუშაოთა გეგმების საქართველოს სსრ სახალხო მეურნეო-



ის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმების წესის შესახებ (საქ. ს.კ. ს-ის 1928 წ. მაისის 16 დადგ.—„კომუნისტი“ მაისის 25, № 119). დადგენილება გამოცემულია სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. მარტის 16 დადგენილების მე 5 მუხ. თანახმად. ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებას და საწარმოს წინადადება ეძლევა გეოლოგიურ და გეოლოგიურ—საკვლევო სამუშაოთა გეგმები წინასწარ შეთანხმების ხოლმე ს. მ. უ. ს-ის გეოლოგიურ კომიტეტს, სამთო განყოფილების მეშვეობით, არა უგვიანეს ყოველი წლის აპრილის 1-ისა. რესპუბლიკანური საჯარო გეგმა სამთო განყოფილებამ უნდა წარუდგინოს სსრკ ს.მ.უ. ს-ის გეოლოგიურ კომიტეტს არა უგვიანეს აპრილის 20-ისა.

1928 წ. აპრილის 24 დადგ.—„კომუნისტი“ მაისის 23, № 119 დადგენილება გამოცემულია იშვიათი ჯიშის მცენარეთა და პარკების დასაცავად. შეკრულ ტყედ და პარკად გამოცხადებულია 14, განსაკუთრებულ სიაში ჩამოთვლილი ტყე და პარკი.

ფინანსები.

1928—29 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (საქ. ს.კ. ს-ის 1928 წ. მაისის 8 დადგ.—„კომუნისტი“ ივნ. 3, № 127). დადგენილება გამოცემულია სსრკ ც. ა. კ-ის მიერ 1928 წ. აპრილის 21-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების თინახმად და ა-კ ს. კ. ს-ის ა.წ. მაისის 10 თარიღის და 40 №-ის დადგენილების განსავითარებლად. დაწვრილებით დადგენილებას არ ევებებით.

საქართველოს მთავრობა.

ზოგიერთი ტყის ნაკვეთისა და პარკის შეკრულ ტყედ და პარკად გამოცხადების შესახებ (საქ. ს.კ. ს-ის

ე. ზ.

მიიღება ხელისმომწიკი მთლიან ნაშთსაკრისათვის

ჟურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ივლისიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმომწიკის ფასი: 6 თვით—5 მან. 50 კ. 3 თვით—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელის მოწერა არ მიიღება.

რედაქციის მიერ უიკლავად აბრკობა უბიანა ა. წ. 1 იანვრიდან უკვლავ გამოქვეყნებული ნომრებისა.

რედაქციის დაბეჯითებით სთხოვს იმ სსრკ სასამართლოებს, რომელთაც მოეწოდებათ პირველი ნომერი გაუვიდგეგლი სასწრაფოდ გადმოკვანონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10—51.



ქვეყნის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 8, 9, 10, 15, 16 — ინსტრუქცია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა. — იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი. — უზ. სასამართლოს ცირკულარი № 5.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 8, 9, 10, 15, 16 — ინსტრუქცია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა. — იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი. — უზ. სასამართლოს ცირკულარი № 5.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 8

ცირკულარი № 8

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 8
ვევლა მასწავლებლის პროკურორის, ასლი: სახალხო სასამართლოებს და საწამლავებებს ცნობისათვის.

გამოკვეთილი დადასტურებულია, რომ მიუხედავად არა ერთი ნითითებისა მასწავლებლის პროკურორები, სასამართლოები და საადგილმამულო ორგანოები დღემდე ვერ იჩენენ სათანადო უნარიანობას მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის გამო მიწის ყიდვა-გაყიდვამ ზოგიერთ მასწავლებელს მიიღო უფრო ფართე ხასიათი, რა გარემოებითაც უხეშად დარღვეულია ძირითადი დებულება საბჭოთა ხელისუფლების მიწის პოლიტიკისა. პროკურორებს და სასამართლოებს არ ემჩნევათ სათანადო ენერგიით და დაკვირვებით მიდგომა მიწის საკითხისადმი, რასაც ადასტურებს სუსტი განჩინებების გამოტანა, არა საკმარისად დასაბუთებული გამართლება ბრალდებულებისა. გარდა ამისა იუსტიციის ადგილობრივი მუშაკნი სრულიად არ ცდილობენ შეისწავლონ მიწის ყიდვა-გაყიდვის სოც-ეკონომიური მიზეზები.

ასლი: საქართველოს სსრ უზ. სასამართლოს, და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახ. კომისარიატებს.

საცხოვრებელი სადგომების მოუფლელად შენახვის და უთადარიგო მართველობის თვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1928 წ. მარტის 7-ს „საცხოვრებელი სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, გამოცემული დადგენილების (გაზ. კომუნისტი“ 1928 წ. აპრილის 6) მე-3 მუხლის შესასრულებლად, იუსტიციის სახ. კომისარიატი, იღებს რა აგრეთვე მხედველობაში სისხ. სამ. კოდექსის იმ ნორმებს, რომელნიც იცავენ ქონებას უთადარიგო შენახვა-მართველობისაგან, წინადადებას გაძლიერებულ იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. სამოქალაქო სამართლის წესით განცხადებული სარჩელისა ან სისხლის სამართლის საქმეზე აღძრული სამოქალაქო სარჩელის გამო, თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ სადგომის დამქირავებელი უდიერად ეპყრობა სადგომს, ქირავნობის ხელშეკრულება, სამოქ. სამ. კოდექსის 171 მუხლის „გ“ პუნქტის ძალით მოიშლება, ხოლო დამქირავებელი უნდა გამოისახლებულ იქნეს სადგომიდან.
2. კერძო პირი, ისეთი საცხოვრებელი სადგომის განზრახ გაფუჭებისათვის, რაც კი სახელმწიფო, საზოგადო ან კოლპეკრატულ დაწესებულებას ეკუთვნის, პასუხს აგებს 1928 წლის გამოცემული სისხ. სამ. კოდექსის 78 მუხლის მიხედვით, ხოლო ისეთი სადგომის გაფუჭებისათვის კი, რაც კერძო პირთ ეკუთვნის—ამავე კოდექსის 199 მუხ. 1 ნაწილის მიხედვით.
3. უკეთეს სასამართლო სამოქალაქო საქმიდან გამოარკვევს, რომ სახლს მოუფლელად ინახავს და მტაცებლურად განაგებს სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოს ის თანამდებობის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების გამგებლობა (სახლის გამგე, კომენდანტი და სხვ.) ან ისეთი მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებისმართველობაში არჩეული წევრი და დაქირავებული მმართველი, რაც იჯარითაა გადაცემული საბინო-საიჯარო ამხანაგობისათვის, აღძრავს ამ პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნას სისხ. სამ. კოდექსის 134 მუხლისამებრ.
4. კერძო პირი, რომელსაც მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი იჯარით აქვს აღებული, ამ სახლის მტაცებლურად გამგებლობისათვის პასუხს აგებს სისხ. სამ. კოდექსის 136 მუხლით.
5. საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოთ ვეალებათ განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნონ თვალყური იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის განხორციელებას, რაც დაეკისრება მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილი სახლების მმართველობის ამ სახლების მოუფლელად შენახვისა და მტაცებლურად გამგებლობისათვის.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი

და რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი.

1928 წ. მაისის 21/29.

ვევლა მასწავლებლის პროკურორის, ასლი: სახალხო სასამართლოებს და საწამლავებებს ცნობისათვის.

გამოკვეთილი დადასტურებულია, რომ მიუხედავად არა ერთი ნითითებისა მასწავლებლის პროკურორები, სასამართლოები და საადგილმამულო ორგანოები დღემდე ვერ იჩენენ სათანადო უნარიანობას მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის გამო მიწის ყიდვა-გაყიდვამ ზოგიერთ მასწავლებელს მიიღო უფრო ფართე ხასიათი, რა გარემოებითაც უხეშად დარღვეულია ძირითადი დებულება საბჭოთა ხელისუფლების მიწის პოლიტიკისა. პროკურორებს და სასამართლოებს არ ემჩნევათ სათანადო ენერგიით და დაკვირვებით მიდგომა მიწის საკითხისადმი, რასაც ადასტურებს სუსტი განჩინებების გამოტანა, არა საკმარისად დასაბუთებული გამართლება ბრალდებულებისა. გარდა ამისა იუსტიციის ადგილობრივი მუშაკნი სრულიად არ ცდილობენ შეისწავლონ მიწის ყიდვა-გაყიდვის სოც-ეკონომიური მიზეზები.

ყოველივე მოხსენებულის გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლიერებულ: დაუყოვნებლივ დაათვალიეროთ ყველა სასამართლოში მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეები და თუ სასამართლოს მიერ საქმე მოსპობილია ან უსაფუძვლოთაა გამოტანილი გაკამართლებელი განჩინები, ასეთები წარმართოთ თქვენი პროტესტით ზედამხედველობის წესისამებრ. ამასთან მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა თავის დროზე იქმნენ გამომეცხადებულნი დამნაშავენი და დაჩქარებით იქნეს გარჩეული მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ საქმეები, სასწრაფოთ მოიყვანეთ სისრულეში ადგილობრივ საადგილმამულო განყოფილებასთან შეთანხმებით სასამართლოების განჩინებები ასეთ საქმეებზე, შეისწავლეთ, თუ რა ნიშნავს ხდება მიწის ყიდვა-გაყიდვა და გამოარკვეეთ აგრეთვე სოციალური მდგომარეობა მიწის მყიდველების და გამყიდველებისა. აღნიშნული ცნობები სისტემატურად უგზავნეთ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი

და რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი.

ი. ს. კ. პროკურორი ს. ქავთარაძე.

1928 წ. მაისის 30


ცირკულარი № 10.

ვევლა მასწავლებლის პროკურორის.

ასლი: სახალხო სასამართლოებს, უზენაეს სასამართლოს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

დღიდან სამხრეთ სახალხო სასამართლოების დაარსებისა მასწავლებლის პროკურორების თითქმის მთელი მუშაობა უნდება მარტო სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში მონაწილეობის მიღებას და საერთო ზედამხედველობას კი ნაკლები ყურადღება ექცევა.

საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობა-მეურნეობის აღორძინებამ დღეს თვალსაჩინო შედეგს მიაღწია, მისი შემდეგი განვითარება და განმტკიცებისათვის აუცილებელი საჭიროა რევოლუციური, ანონირების გაღრმავება და უწყვედ დაცვა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პროკურორი თავის სიმალლეზე დააყენებს საერთო ზედამხედველობის დარგს. ზემოხსენებულისა გამო და შესაცვლელად ცირკულარისა № 3 ა/წ. 20 მაისის თარიღით წინადადებას გაძლიერებულ:



1) იმ მიზნით, რათა პროკურორის მეტი დრო ჰქონდეს საერთო ზედამხედველობის დარგში სამუშაოდ, მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს თქვენი სასამართლოს საჯარო სხდომაზე მონაწილეობის მიღება ბრალმძღობის როლში. მაზრის სახალხო სასამართლოში პროკურორი უნდა გამოდიოდეს მხოლოდ იმ დანაშაულის გამო, რომლებიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 72 მუხ. 1 ნაწ., 115 მუხ. 2 ნაწ., 117 მუხ. 2 ნაწ., 122 მუხ. 2 ნაწ., 144, 145, 167, 169, 177 და 181 მ.მ.

2) დანარჩენ შემთხვევებში პროკურორს შეუძლიან სასამართლოში მონაწილეობა მიიღოს, თუ ამას თვით დინახავს აუცილებელ საჭიროთ, ან საქმის სირთულის გამო, ამას გამოითხოვს სასამართლო, ან რომელიმე სახელმწიფო საზოგადო ორგანიზაცია და ბოლოს თუ სახალხო სასამართლოს სხდომას ექნება საჩვენებელი პროცესის ხასიათი.

3) სახალხო სასამართლოებში კი პროკურორმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს სხდომას, აგრეთვე ექნება საჩვენებელი პროცესის ხასიათი და ისიც იმ საქმეზე, რომელიც დღევანდელ მომენტის მიხედვით, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობენ, როგორცაა, მაგალითად: მითვისება-გაფლანგვა სახელმწიფო და საზოგადო ქონებისა, საქონლის ქურდობა, მიწის ყიდვა-გაყიდვა და სხვა.

4) სამ. სამ. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებანი პროკურორმა უნდა გამოიყენოს განსაკუთრებით აუცილებელ შემთხვევაში, უკეთეს ამას მოითხოვს სახელმწიფო-საზოგადო, ან კერძო მშრომელთა ინტერესები.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი—**ი. ვარძიელი.**
 ი. ს. კ. პროკურორი—**ს. ქავთარაძე.**

1928 წ. ივნისის 8.

ცირკულარი № 16.

ყველა სამაზრო და სახალხო. მოსამართლეს. ასლი: უზე: ნაეს სასამართლოს და პროკურორებს.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსული ცნობებით ზოგიერთი სამაზრო მოსამართლე უარს ამბობს სამაზრო საადგილ-მამული სასამართლო კოლეგიაში თავმჯდომარეობაზე იმ მოსაზრებით, რომ მიწის კოდ. 162 მუხლის თანახმად, ამ კოლეგიაში უნდა თავმჯდომარეობდეს ოლქის სასამართლოს რწმუნებული, ოლქის სასამართლო კი დღეს საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 31-ის № 90 დადგენილებით, გაუქმებულია.

სამაზრო მოსამართლეების მიერ აღნიშნული მოვალეობის თავიდან მოშორება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს კანონით, თანახმად ზემოთხსენებული დადგენილების მე-9 მუხლისა, სამაზრო მოსამართლე არის უზენაესი სასამართლოს რწმუნებული და მაშასადამე მან შესცვალა ყოფილი ოლქის სასამართლოს რწმუნებული, რომელიც ისევე, როგორც ესლანდელი სამაზრო მოსამართლე, მუშაობდა მაზრის მაშტაბით.

გარდა ამისა, მიწის კოდ. 162 მუხლის ძალით, სამაზრო საადგილმამული სასამართლო კოლეგიის სათავეში უნდა იდგეს ის მოსამართლე, რომელიც მუშაობს მაზრის მაშტაბით, ესეთი კი დღეს სწორედ სამაზრო მოსამართლეა.

და ბოლოს, საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული № 90 დადგენილების მე-9 მუხლით სამაზრო მოსამართლეს უპირველეს ყოვლისა დაკისრებული აქვს სამაზრო საადგილ-მამული სასამართლო კოლეგიის მუშაობის გამოკვლევა უზენაეს სასამართლოს პლენუმისათვის მოსახსენებლად.

ამ რიგით სამაზრო მოსამართლე ახალი კანონით არა თუ ჩამოშორებულია სამაზრო საადგილ-მამული სასამართლო კოლეგიაში მუშაობას, არამედ მოვალე არის ამ მუშაობის სრული ანგარიში აგოს უზენაეს სასამართლოს წინაშე.

ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრებით სამაზრო მოსამართლე ვალდებულია თავმჯდომარეობა გაუწიოს სამაზრო საადგილ-მამული სასამართლო კოლეგიას, რასაც იუსტიციის სახ. კომისარიატი გაცნობებთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

იუსტიციის სახალხო კომისრის მაგ. **კაჭარავა.**
 სასამართლო მმართველობის გამგე **სიჭინავა.**

1928 წ. მაისის 31.

ცირკულარი № 15.

ყველა სახალხო სასამართლოს და სასამართლო აღმასრულებელს.

ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის პუბლიკაციისათვის საჭირო ფულის გადახდევანების შესახებ.

იუსტსაზკომის 1926 წ. ცირკულიარის № 65 შესაცვლელად (ოლქის სასამართლოების გაუქმების გამო). იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების ასრულებინ წესით ქონება უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით და ამის შესახებ პუბლიკაცია სავალდებულოა (თუ ქონება 50 მან. მეტი ღირს), ხოლო გადახდევანებელი კი ხელმოკლეობის გამო განთავისუფლებულია საქმის საწარმოებელი ხარჯებისა, მათ შორის სააღმშენებლო ხარჯის გაწევისაგან, სასამართლო აღმასრულებელმა პუბლიკაციისათვის საჭირო თანხა უნდა აიღოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ფულიდან ისე კი, რომ ეს ხარჯი დაფაროს ამ პირველსავე თანხიდან, რაც კი მოვალის ქონების საჯარო გაყიდვით შემოვა.

ზემოაღნიშნული გეცნობებათ სახელმძღვანელოთ და აღსასრულებლათ.

იუსტიციის სახალხო კომისარის მაგ. **კაჭარავა.**

1928 წ. მაისის 29.

ინსტრუქცია № 01211

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა

დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირალით სარგებლობის შესახებ.

(გამოცემულია თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 21 თარიღის და 16 №-ით დადგენილების მე-4 მუხლისა—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 32).

1) საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ბაირალი, სწორკუთხედი წითელი (აღის) ფერი ქსოვილისაგან, რომლის სიგრძე შეეფარდება სიგანეს, როგორც 2:1, და რომლის მარცხენა ზემო კუთხეში, ტართან, მოთავსებულია ოქროს ასოები „ს. ს. რ.“ აღმართულ უნდა იქნეს:

ა) იმ შემთხვევაზე, სადაც მოხდება სრულიად საქართველოს და ადგილობრივ (სამაზრო და სათემო) საბჭოთა ყრილობა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის სხდომები-ყრილობის ან სესიის დაწყებიდან დამთავრებამდე.

ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე ყველა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს შენობაზე—მუდმივ.

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დანარჩენ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოთა შენობებზე (სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებისა და სხვ.), აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საწარმოთა და მათ შენაერთთა (ტრესტის, სინდიკატის და სხვ.) შენობებზე,—

საერთო პროლეტარულ, საერთო საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ უქმე და საზეიმო დღეებში.

2. საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის და დაწესებულების შენობაზე გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობისა, მაგალითად: სასწავლებლების, საავადმყოფოების, თეატრების და სხვ. შენობებზე აღიმართება წითელი (აღის) ფერის ქსოვილის ბაირალი უწარწეროთ, სწორკუთხედი, რომლის ქსოვილის სიგრძე შეფარდება სიგანეს, როგორც 2:1.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მოვალეობა ბაირალის გამოკიდვისა საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში ვრცელდება აგრეთვე პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, დაწესებულებებსა და საწარმოებზე.

4. კერძო პირებს, დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ, გამოჰკიდონ მე-2 მუხლში აღნიშნული ბაირალი თავის სახლების, მაღაზიების და დაწესებულებების და სხვ. ფასადებზე საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ საზეიმო დღეებში.

5. იმ დაწესებულებამ, ორგანიზაციამ ან პირმა, რომელიც მოვალეა ბაირალი გამოჰკიდოს, ეს ბაირალი უნდა შეიძინოს თავისი ხარჯით.

6. ამა ინსტრუქციის შესრულებისათვის თვალყურის დევნა ეკისრება მილიციის ორგანოებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ლ. ბუჩუკი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. მაისის 31.

იუსტიციის სახალხო კომისარიის ცირკულარი

ცირკულარულად.

ყველა სასამართლო აღმასრულებლებს

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 306 მუხ. თანახმად, სასამართლო აღმასრულებლები საჯარო ვაჭრობით გასყიდვის შესახებ გამოაცხადებენ არა უგვიანეს სამი დღისა ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში, მხოლოდ გადამზღვენიების ან მოვალის თხოვნით სხვა გაზეთებშიაც.

აღნიშნულისა გამო ბუბლიკაციები ვაჭრობათა შესახებ მოთავსებულ უნდა იქნენ უსათუოდ (გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აღნიშნული არიან სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 306 მუხ. მე-2 ნაწილში) მხოლოდ გაზ. „კომუნისტ“-ში, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთს საქ. სოც. საბ. რესპუბლიკის ფარგლებში. მოყვანილი გეცნობებათ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიის ამა წლის 26 იანვრის № 1559 ცირკულარის შესაცვლელად.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**
სასამართლო მმართველობის განყოფილების გამგე **სიჭინავა.**
1928 წ. 22 მაისი.

უზენაეს სასამართლოს ცირკულარი.

ცირკულარი № 6


ყველა სამაზრო სასამართლოს

სამაზრო სასამართლოების ნახევარი წლის საქმიანობამ დაგვანახვა, რომ მუშაობის განვითარებისა და საქმეების თავ-თავის დროზე განხილვის დარგში მათ მიერ მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული; შემჩნეულია, რომ სამაზრო სასამართლოების ქვემდებარე საქმეები არ ჰიანურდება და მალე მთავრდება—მაშინ როდესაც უზენაეს სახალხო სასამართლოები თანდათანობით „თუ იტვირთებიან საქმეებით. ასეთი ჰოვლენის გამოსასწორებლად და თანახმად უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1928 წლის აპრილის 24-26-ის დადგენილებისა გვევლებათ დანმარებებ გაუწიოთ უზენაეს სახალხო სასამართლოს და ამ უკანასკნელის სახელით განიხილოთ ზოლმე მისი ქვემდებარე საქმეები, უკეთუ საამისოდ სათანადო დრო გექნებათ და სამაზრო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების განხილვა არ შეფერხდება: ასეთი დანმარება უნდა გაუწიოთ, როგორც მაზრის ცენტრში მყოფ სახ. სასამართლოს სადაც თქვენ მუშაობთ, აგრეთვე რაიონებშიაც მოსამართლეებთან წინასწარ შეთანხმებით: გაცნობებთ რა აღნიშნულს ამა ცირკულარის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეუდგეთ მაზრაში მომქმედ უზენაეს სახალხო სასამართლოების განვითარების საქმეს და შედეგები თქვენ მიერ განხილულ საქმეების ყოველ სამ თვეში გვაცნობოთ.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს
თავმჯდომარე **ა. კაჭარავა**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ი. ვარძიელი.**

სარედაქციო კოლეგია: **ა. კაჭარავა, თ. დოლიძე, ა. ურუშაძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ხ. ჯაფარიძე, მიქელაძე, პ. ქავთარაძე.**



Handwritten signature or initials in blue ink.